

სსიპ კოლეჯი „მერმისი“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი



2025წ.

კოლეჯის ისტორია

2012 წელს ქ. თბილისში არსებული 4 პროფესიული სასწავლებლის რეორგანიზაციის შედეგად, მისამართზე დავით გურამიშვილის 72/ბ (ამჟამად დავით გურამიშვილის ჩიხი №9/ა) დაფუძნდა სსიპ პროფესიული კოლეჯი „მერმისი“, რომელიც წარმოადგენს სხვადასხვა დროს რეორგანიზებული და ლიკვიდირებული 45 პროფესიული სასწავლებლის სამართალმემკვიდრეს. ყოველწლიურად დაწესებულებაში 1700-მდე პროფესიული სტუდენტი და მსმენელი სწავლობს. კოლეჯში დასაქმებულია 150-ზე მეტი თანამშრომელი. კოლეჯის ადამიანური რესურსის რაოდენობა შეადგენს 120. პროფესიული განათლების სისტემაში განხორციელებული ცვლილებების კვალდაკვალ დაწესებულება განვითარების გზით მიდის. დაწესებულება ერთ-ერთი პირველი ჩაერთო დუალური და ინტეგრირებული პროგრამების განხორციელების პროცესში.

კოლეჯის წარმატებებზე მეტყველებს ისიც, რომ 2018 წლიდან კოლეჯმა გამარჯვება მოიპოვა ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მიერ ჩატარებულ კონკურსებში „პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდო“ შემდეგ ნომინაციებში: *საუკეთესო დაწესებულება (2018წ.)*, *საუკეთესო სტუდენტი (2020წ.)*, *საუკეთესო მასწავლებელი (2022წ.)*, *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (2023წ. – „სამკერვალო წარმოება“)*, *საქართველოს პარლამენტის სპეციალური პრიზი (2025 წ.)*. ასევე, სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისი“ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს და დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის მიერ „2018 წლის საუკეთესო პარტნიორის ტიტულით“ დაჯილდოვდა.

ამასთან, ევროპული განვითარების ფონდის (ETF) მიერ საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისი“ მაგალითზე ინკლუზიური პროფესიული განათლება საუკეთესო, ინოვაციურ და კავკასიის რეგიონში ერთ-ერთ პირველ წარმატებულ ინიციატივად დასახელდა. აღნიშნულმა ინიციატივამ ასობით სისტემის მიღმა დარჩენილ ადამიანს გაუხსნა გზა ღია შრომის ბაზრისაკენ. შედეგზე ორიენტირებული, თანამშრომლობითი, ეფექტური და ევროპულ დირექტივებზე დაფუძნებული პრაქტიკა - ასე შეფასდა ინკლუზიური პროფესიული განათლება საქართველოში. ევროპული განვითარების ფონდის მიერ ქ. ბრიუსელში კოლეჯის დირექტორს ნონა ლუდუშაურს საპატიო პრიზი გადაეცა. გამოიცა პუბლიკაცია საქართველოს განათლების სისტემაში ინკლუზიური პროფესიული განათლების წარმატებული შემთხვევების შესახებ.

კოლეჯში ყველა პირობაა შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების, მოკლევადიან (სასერტიფიკატო) პროგრამებზე სწავლის მსურველ პირთათვის ხარისხიანი განათლების მიწოდებისათვის. კოლეჯი თავისი საქმიანობით შესაბამისობაშია ავტორიზაციის ყველა, ხუთივე სტანდარტთან. ის წარმოადგენს ერთ-ერთ წამყვან დაწესებულებას პროფესიული განათლების სისტემაში.

კოლეჯის ძლიერი მხარეებია: გამოცდილი ადამიანური რესურსი, სწორი მენეჯმენტი, უნივერსალური დიზაინით მოწყობილი, ყველასათვის ხელმისაწვდომი გარემო, ინკლუზიური განათლების მხარდაჭერა, ზრუნვა ადამიანური რესურსების უწყვეტ განვითარებაზე, სასწავლო მასალა-ნედლეულის შეუფერხებელი მიწოდება და სხვ.

საკონტაქტო ინფორმაცია


მისამართი: ქ. თბილისი, დავით გურამიშვილის ჩიხი №9ა

ელექტრონული ფოსტა: info@mermiscollege.edu.ge

ტელეფონი: 2 14 76 62; 2 14 76 63; 2 14 78 87; 2 14 76 67

ვებ-გვერდი: mermiscollege.edu.ge

კოლეჯის დირექტორი: ნონა ლუღუშაური



კოლეჯის მისია

ხელოვნების, ბიზნესის და ადმინისტრირების, ინჟინერიის და წარმოების სფეროების პროგრამებით წვლილი შევიტანოთ ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობაში ადგილობრივი და ევროპული შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი მაღალკვალიფიციური და სამოქალაქო ცნობიერების მქონე კადრების მომზადების გზით, სოციალური ინკლუზიის ჩართულობით, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობით.

კოლეჯის ხედვა

2030 წლისთვის ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის დაკვეთის შესაბამისად სტუდენტის/მსმენელის საჭიროებებზე მაქსიმალურად მორგებულ გარემოში პროფესიული უნარებისა და აზროვნების განვითარება.

კოლეჯის ღირებულებები

- პროფესიონალიზმი, ხარისხის მაღალი სტანდარტი და ინოვაციისაკენ სწრაფვა
- გუნდური მუშაობა
- სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობა

შეფასების სისტემა

სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პროფესიულ სტუდენტს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე. სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი, მათ შორის შუალედური, შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრული პირობების შესაბამისად. შეფასების მეთოდი/ მეთოდები მოცემულია მოდულებში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგის დადასტურება

ინტეგრირებული ზოგადი მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება

ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის პროგრესის შეფასებისას გამოიყენება, როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასება. ამასთან, ინტეგრირებული ზოგადი მოდულების ფარგლებში გამოიყენება არადიფერენცირებული განმსაზღვრელი შეფასება.

განმსაზღვრელი შეფასება ადგენს პროფესიული სტუდენტის მიღწევას ინტეგრირებული ზოგადი მოდულის სწავლის შედეგებთან მიმართებაში.

განმავითარებელი შეფასება ადგენს პროფესიული სტუდენტის განვითარების დინამიკას, მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე და გამოიყენება პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერისათვის.

პროფესიული სტუდენტი ფასდება შეფასების ტაქსონომიის გამოყენებით თითოეული თემის კონტექსტში და სწავლის შედეგებთან მიმართებაში.

ინტეგრირებული ზოგადი მოდული დაძლეულად ჩაითვლება, თუ ინტეგრირებული ზოგადი მოდულით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგი მიღწეულია.

სწავლის შედეგი მიღწეულად ითვლება, თუ მასთან დაკავშირებული ყველა კომპლექსური დავალება შეფასებულია პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ და მათგან მინიმუმ ერთი შეფასებულია მიმართებით ან აბსტრაქტულ დონეზე (ცხრილი №1).

ცხრილი N1

<p>1. პრესტრუქტურული დონე</p> <p>პროფესიულ სტუდენტს არ აქვს გააზრებული საკითხი, იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას ან/და საერთოდ აცდენილია საკითხს.</p>
<p>2. უნისტრუქტურული დონე</p> <p>პროფესიულ სტუდენტს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის განხილვა და მარტივი, აშკარა/ცხადი კავშირების დამყარება.</p> <p>პროფესიულ სტუდენტს შეუძლია ტერმინოლოგიის გამოყენება, ზეპირად გადმოცემა (გახსენება), მარტივი ინსტრუქციების/ალგორითმების შესრულება; პარაფრაზირება, ამოცნობა, დასახელება ან დათვლა.</p>
<p>3. მულტისტრუქტურული დონე</p> <p>პროფესიულ სტუდენტს შეუძლია რამდენიმე ასპექტის განხილვა განცალკევებულად, ერთმანეთთან კავშირის გარეშე. მას შეუძლია ჩამოთვლა, აღწერა, კლასიფიცირება, კომბინირება; მეთოდების, სტრუქტურის გამოყენება; პროცედურების შესრულება, სხვ.</p>
<p>4. მიმართებითი დონე</p> <p>პროფესიულ სტუდენტს შეუძლია გაიაზროს კავშირი რამდენიმე ასპექტს შორის, აგრეთვე ისიც, თუ როგორ ერგება/შეესაბამება ეს ასპექტები ერთმანეთს და ქმნის მთელს მთლიანობას. მისი ნააზრევი სტრუქტურირებულია და ამგვარად, პროფესიულ სტუდენტს აქვს იმის უნარი, რომ შეადაროს, დააკავშიროს, გააანალიზოს, გამოიყენოს თეორია, ახსნას საკითხი მიზეზშედეგობრივი კუთხით.</p>
<p>5. აბსტრაქტული დონე</p> <p>პროფესიულ სტუდენტს შეუძლია სტრუქტურის განზოგადება და აღქმა სხვადასხვა კუთხიდან/თვალთახედვიდან, იდეების გადატანა ახალ სფეროში. მას შეუძლია განზოგადება, ჰიპოთეზის წამოყენება, კრიტიკული გაანალიზება ან თეორიის ჩამოყალიბება.</p>

პორტფოლიოში წარმოდგენილი სტუდენტების მიღწევების ამსახველი მტკიცებულებების განხილვის და მისი ვერიფიკაციის საფუძველზე, საგანმანათლებლო დაწესებულებაში შექმნილი ზოგადი განათლების

საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების კომისია ადგენს, რამდენად მოხდა ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით გათვალისწინებული თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა და იღებს შემდეგ გადაწყვეტილებებს:

- ა) პროფესიული სტუდენტის მიერ ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება;
- ბ) პროფესიული სტუდენტის მიერ ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების მიღწევის ვერ დადასტურება;

პროგრამის ფარგლებში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების მიღწევა დადასტურდება, თუ პორტფოლიოში წარმოდგენილია პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი ყველა ინტეგრირებული ზოგადი მოდულის დამლევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

„სავალი ნაწილის შეკეთება“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (შემდგომში - ჩარჩო დოკუმენტი) სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე, რომლის საფუძველზე შექმნილია პროგრამა - ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და სპეციალური ავტოსატრანსპორტის სერვისი / Vehicles Body and Special Purpose Techniques Service
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზე შექმნილია პროგრამა: 07119-3

მისანიჭებელი კვალიფიკაციები ქართულ და ინგლისურ ენებზე: საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში / Basic Vocational Qualification in Vehicle Repair

აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - მრავიანი ტრანსპორტი, გემები და საჰაერო ხომალდები, კოდი - 0716, აღმწერი - „შეისწავლის მრავიანი ტრანსპორტის (მ.შ. დედამიწაზე მოძრავი მანქანები და სასოფლო - სამეურნეო მანქანები, გემები, მატარებლები, საჰაერო ხომალდები) დაპროექტებას, განვითარებას, წარმოებას, ექსპლუატაციას, ხარვეზების დიაგნოსტიკას, რემონტსა და მომსახურებას. ამ სფეროსთვის ჩვეულებრივია ლითონის სტრუქტურისა და მრავლების შესწავლის კომბინირება.“

მიზანი: პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს შრომის ბაზრისთვის მაღალი კვალიფიკაციის მქონე კადრის მომზადება, რომლებიც ახდენს სატრანსპორტო სფეროში ავტომობილების სავალი ნაწილის დიაგნოსტიკას, აღდგენითი სამუშაოების ჩატარებას, მოდერნიზებასა და შეკეთებას.

დაშვების წინაპირობები: საბაზო განათლება

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები: მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელ „სავალი ნაწილის შეკეთების“ პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს ავტომობილის სამუხრუჭე სისტემის ტექნიკოსად, ავტოსერვისის მექანიკოსად, სავალი ნაწილის მექანიკოსად, დიაგნოსტიკოსად.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდები: 45.2; 45.20; 45.20.0
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 7231.

სტრუქტურა და მოდულები

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში - მოიცავს 6 ზოგად მოდულს ჯამური 17 კრედიტის რაოდენობით, 6 საერთო პროფესიულ მოდულს ჯამური 17 კრედიტის რაოდენობით, 4 პროფესიულ მოდულს ჯამური 10 კრედიტის რაოდენობით და კონცენტრაცია სავალი ნაწილის შეკეთება - მოიცავს კონცენტრაციის 5 მოდულს ჯამური 15 კრედიტის რაოდენობით. სულ: 59 კრედიტი.

მოდულის „ქართული ენა A2“ გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლების შერჩევაც, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №42/5 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების“ 28-ე მუხლის (გარდამავალი დებულებები) პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, განხორციელდება რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.

- პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 59 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 44 კვირა;
- პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 74 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 54 კვირა.

ზოგადი მოდულები საბაზო პროფესიული კვალიფიკაციისათვის		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	მეწარმეობა 1	2

2.	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
3.	რაოდენობრივი წიგნიერება	2
4.	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3
5.	სამოქალაქო განათლება	3
6.	უცხოური ენა	4
ჯამი:		17
საერთო პროფესიული მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	ავტოსატრანსპორტო საშუალებების კლასიფიკაცია	2
2.	შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა	3
3.	ზოგადი ელექტროტექნიკის საფუძვლები	4
4.	დამკვეთთან ურთიერთობა	2
5.	საზეინკლო საქმის საფუძვლები	4
6.	გაცნობითი პრაქტიკა - ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და სპეცდანიშნულების ავტოსატრანსპორტის სერვისები	2
ჯამი:		17
მსუბუქი ავტომობილის შეკეთება - პროფესიული მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	ტრანსმისიის კლასიფიკაცია	2
2.	დაკიდების სისტემის საჭით მართვის და სამუხრუჭე სისტემის კლასიფიკაცია	3
3.	ტექნიკური უცხო ენა და სიმბოლოები	2
4.	შიდაწვის ძრავების კლასიფიკაცია	3
ჯამი:		10
კონცენტრაცია - სავალი ნაწილის შეკეთება - მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	ავტომობილის სამუხრუჭე სისტემის სერვისი	3
2.	გადაცემათა კოლოფის მოხსნა-დაყენება	2
3.	დაკიდების სისტემის სერვისი	4
4.	საჭით მართვის მექანიზმის და გამამლიერებელი სისტემების სერვისი	3
5.	წამყვანი ხიდები და ამპრავები	3
ჯამი:		15
სულ:		59

მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

საერთო სწავლის შედეგები:

1. მოახდინოს სატრანსპორტო საშუალებების, დაკიდების სისტემის საჭით მართვისა და სამუხრუჭე სისტემების, ტრანსმისიის და შიგა წვის ძრავების კლასიფიცირება
2. ჩაატაროს ზოგადი ელექტროტექნიკური და ელექტრონული გაზომვები
3. წარმართოს საქმიანობა შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვითი წესების გათვალისწინებით
4. წარმართოს დამკვეთთან ეფექტური კომუნიკაცია.

სწავლის შედეგები მსუბუქი ავტომობილის შეკეთების მიმართულებით:

1. მოახდინოს დაკიდების, საჭით მართვის, სამუხრუჭე სისტემის კლასიფიკაცია
2. წაიკითხოს და გაანალიზოს ბლოკ-სქემები და პრინციპული სქემები
3. მოახდინოს ავტოსატრანსპორტო საშუალებების, გადაცემათა კოლოფების, წამყვანი ხიდების და მათი ამპრავების კლასიფიკაცია მუშაობის პრინციპის მიხედვით

4. მოახდინოს შიგაწვის ძრავების კლასიფიკაცია აგებულების, ცილინდრების განლაგების, საწვავის ტიპების და ჰაერის მიწოდების სისტემის მიხედვით.

სწავლის შედეგები კონცენტრაციისთვის „სავალი ნაწილის შეკეთება“ :

1. განახორციელოს ავტომობილის სამუხრუჭე სისტემის, დაკიდების სისტემის, საჭით მართვის სისტემების, წამყვანი ხიდებისა და ამძრავების სერვისი
2. მოხსნას და დააყენოს გადაცემათა კოლოფი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

„ძრავას შეკეთება“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (შემდგომში - ჩარჩო დოკუმენტი) სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე, რომლის საფუძველზე შექმნილია პროგრამა - ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და სპეციალიზირებული ავტოსატრანსპორტის სერვისი / Vehicles Body and Special Purpose Techniques Service პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზე შექმნილია პროგრამა: 07119-3

მისანიჭებელი კვალიფიკაციები ქართულ და ინგლისურ ენებზე: საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში / Basic Vocational Qualification in Vehicle Repair

აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - მრავიანი ტრანსპორტი, გემები და საჰაერო ხომალდები, კოდი - 0716, აღმწერი - „შეისწავლის მრავიანი ტრანსპორტის (მ.შ. დედამიწაზე მოძრავი მანქანები და სასოფლო - სამეურნეო მანქანები, გემები, მატარებლები, საჰაერო ხომალდები) დაპროექტებას, განვითარებას, წარმოებას, ექსპლუატაციას, ხარვეზების დიაგნოსტიკას, რემონტსა და მომსახურებას. ამ სფეროსთვის ჩვეულებრივია ლითონის სტრუქტურისა და მრავების შესწავლის კომბინირება.“

მიზანი: პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს შრომის ბაზრისათვის მაღალკვალიფიციური კადრის მომზადება, რომლებიც ახდენს სატრანსპორტო სფეროში აგრარული ტექნიკისა და ავტომობილების მრავების დიაგნოსტიკას, აღდგენითი სამუშაოების ჩატარებას, მოდერნიზებასა და შეკეთებას.

დაშვების წინაპირობები: საბაზო განათლება

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები: მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს, „ძრავას შეკეთების“ პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს ავტომობილის სამუხრუჭე სისტემის ტექნიკოსად, მრავას მექანიკოსად (სავტომობილო ტრანსპორტი).

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდები: 45.2; 45.20; 45.20.0
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 7231.

სტრუქტურა და მოდულები

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში (მრავას შეკეთების პროგრამა) - მოიცავს 6 ზოგად მოდულს ჯამური 17 კრედიტის რაოდენობით, 6 საერთო პროფესიულ მოდულს ჯამური 17 კრედიტის რაოდენობით, მსუბუქი ავტომობილის შეკეთების 4 პროფესიულ მოდულს ჯამური 10 კრედიტის რაოდენობით და მრავას შეკეთების კონცენტრაციის 5 მოდულს ჯამური 14 კრედიტის რაოდენობით. სულ: 58 კრედიტი.

მოდულის „ქართული ენა A2“ გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლების შერჩევაც, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების“ 28-ე მუხლის (გარდამავალი დებულებები) პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, განხორციელდება რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე. აღნიშნული პირობისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.

- ✓ პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 58 კრედიტი
- ✓ პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 42 კვირა
- ✓ პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 73 კრედიტი
- ✓ პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 52 კვირა

ზოგადი მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	მეწარმეობა 1	2
2.	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
3.	რაოდენობრივი წიგნიერება	2
4.	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3
5.	სამოქალაქო განათლება	3
6.	უცხოური ენა - ინგლისური	4
ჯამი:		17
საერთო პროფესიული მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	ავტოსატრანსპორტო საშუალებების კლასიფიკაცია	2
2.	შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა	3
3.	ზოგადი ელექტროტექნიკის საფუძვლები	4
4.	დამკვეთთან ურთიერთობა	2
5.	საზეინკლო საქმის საფუძვლები	4
6.	გაცნობითი პროექტის ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და სპეცდანიშნულების ავტოსატრანსპორტის სერვისები	2
ჯამი:		17
მსუბუქი ავტომობილის შეკეთება - პროფესიული მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	ტრანსმისიის კლასიფიკაცია	2
2.	დაკიდების სისტემის საჭით მართვის და სამუხრუჭე სისტემის კლასიფიკაცია	3
3.	ტექნიკური უცხო ენა და სიმბოლოები	2
4.	შიდაწვის ძრავების კლასიფიკაცია	3
ჯამი:		10
კონცენტრაცია - ძრავას შეკეთება - მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	ძრავის ზოგადი დიაგნოსტიკა	2
2.	ძრავის მოხსნა-დაყენება	3
3.	ძრავის საწვავით კვების სისტემის სერვისი	3
4.	ძრავის მექანიზმების სერვისი	4
5.	ძრავის შეზეთვა-გაგრილების სერვისი	2
ჯამი:		14
სულ:		58

მისანიჭებელი კვალიფიკაციების შესაბამისი სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

საერთო სწავლის შედეგები:

1. მოახდინოს სატრანსპორტო საშუალებების, დაკიდების სისტემის საჭით მართვისა და სამუხრუჭე სისტემების, ტრანსმისიის და შიგა წვის ძრავების კლასიფიცირება
2. ჩაატაროს ზოგადი ელექტროტექნიკური და ელექტრონული გაზომვები
3. წარმართოს საქმიანობა შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვითი წესების გათვალისწინებით
4. წარმართოს დამკვეთთან ეფექტური კომუნიკაცია.

სწავლის შედეგები მსუბუქი ავტომობილის შეკეთების მიმართულებით:

1. მოახდინოს დაკიდების, საჭით მართვის, სამუხრუჭე სისტემის კლასიფიკაცია

2.წაკითხოს და გაანალიზოს ბლოკ-სქემები და პრინციპული სქემები

3.მოახდინოს ავტოსატრანსპორტო საშუალებების, გადაცემათა კოლოფების, წამყვანი ხიდების და მათი ამძრავების კლასიფიკაცია მუშაობის პრინციპის მიხედვით

4.მოახდინოს შიგაწვის ძრავების კლასიფიკაცია აგებულების, ცილინდრების განლაგების, საწვავის ტიპების და ჰაერის მიწოდების სისტემის მიხედვით.

სწავლის შედეგები კონცენტრაციისთვის „ძრავას შეკეთება“ :

1.განახორციელოს ძრავას საწვავით კვების სისტემების, ძრავას მექანიზმების, ძრავას გაგრილება-შეზეთვის სისტემის სერვისი

2.მოახდინოს ძრავას ზოგადი დიაგნოსტიკა

3.ამოიღოს და ჩადგას ძრავა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

„მსუბუქი ავტომობილების ელექტრო და ელექტრონული

სისტემების შეკეთება“

როფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (შემდგომში - ჩარჩო დოკუმენტი) სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე - ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და სპეცდანიშნულების ავტოსატრანსპორტის სერვისი / Vehicles Body and Special Purpose Techniques Service

სარეგისტრაციო ნომერი: 07119-3

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე:

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში / Basic Vocational Qualification in Vehicle Repair

აღნიშნული კვალიფიკაციები განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - ძრავიანი ტრანსპორტი, გემები და საჰაერო ხომალდები, კოდი - 0716, აღმწერი - „შესწავლის ძრავიანი ტრანსპორტის (მ.შ. დედამიწაზე მოძრავი მანქანები და სასოფლო - სამეურნეო მანქანები, გემები, მატარებლები, საჰაერო ხომალდები) დაპროექტებას, განვითარებას, წარმოებას, ექსპლუატაციას, ხარვეზების დიაგნოსტიკას, რემონტსა და მომსახურებას. ამ სფეროსთვის ჩვეულებრივია ლითონის სტრუქტურისა და ძრავების შესწავლის კომბინირება.“

მიზანი: პროგრამის მიზანია, ისეთი კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომლებიც ახდენენ მსუბუქი ავტომობილების ელექტრო და ელექტრონული სისტემების დიაგნოსტიკას, აღდგენითი სამუშაოების ჩატარებას და შეკეთებას.

დაშვების წინაპირობები: საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში - **საბაზო განათლება**

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები: მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს მსუბუქი ავტომობილების ელექტროდიაგნოსტიკოსად.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდები: 45.2; 45.20; 45.20.0
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 7231.

სტრუქტურა და მოდულები

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში (მსუბუქი ავტომობილების ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების პროგრამა) - მოიცავს 6 ზოგად მოდულს ჯამური 17 კრედიტის რაოდენობით, 6 საერთო პროფესიულ მოდულს ჯამური 17 კრედიტის რაოდენობით, მსუბუქი ავტომობილის შეკეთების 4 პროფესიულ მოდულს ჯამური 10 კრედიტის რაოდენობით და ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების კონცენტრაციის 14 მოდულს ჯამური 38 კრედიტის რაოდენობით. სულ 82 კრედიტი.

მოდულის „ქართული ენა A2“ გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლების შერჩევაც, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების“ 28-ე მუხლის (გარდამავალი დებულებები) პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, განხორციელდება რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.

- ✓ პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 82 კრედიტი
- ✓ პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 61 კვირა
- ✓ პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 97 კრედიტი
- ✓ პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 71 კვირა

საერთო პროფესიული მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	ავტოსატრანსპორტო საშუალებების კლასიფიკაცია	2
2.	შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა	3
3.	ზოგადი ელექტროტექნიკის საფუძვლები	4
4.	დამკვეთთან ურთიერთობა	2
5.	საზენკლო საქმის საფუძვლები	4
6.	გაცნობითი პრაქტიკა - ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და სპეცდანიშნულების ავტოსატრანსპორტის სერვისები	2
ჯამი:		17
1. მსუბუქი ავტომობილის შეკეთება - პროფესიული მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	ტრანსმისიის კლასიფიკაცია	2
2.	დაკიდების სისტემის საჭით მართვის და სამუხრუჭე სისტემის კლასიფიკაცია	3
3.	ტექნიკური უცხო ენა და სიმბოლოები	2
4.	შიდაწვის ძრავების კლასიფიკაცია	3
ჯამი:		10
1.1. კონცენტრაცია - ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება - მოდულები		
1.	ავტომობილის სამუხრუჭე სისტემის ელექტრონული მართვის სერვისი	3
2.	ავტომატური და ვარიატორული გადაცემათა კოლოფების ელექტრონული სისტემების სერვისი	3
3.	ბენზინსა და აირის საწვავზე მომუშავე ძრავას ელექტრონული ანთების სისტემის სერვისი	3
4.	გათბობა-კონდიციონერების ელექტრული და ელექტრონული სისტემების სერვისი	3
5.	დაკიდების ელექტრონული მართვის სისტემის სერვისი	2
6.	დამუხტვა-გაშვების სისტემის სერვისი	2
7.	ელექტროტექნიკური ნახაზების წაკითხვა	4
8.	სარჩილავი სადგურის გამოყენება	1
9.	საჭის მექანიზმის ელექტრონული მართვის სისტემების სერვისი	2
10.	ძრავას ჰაერით და საწვავით კვების ელექტრული და ელექტრონული სისტემების სერვისი	4
11.	ძრავას შეზეთვა-გაგრილების ელექტრონული სისტემის სერვისი	2
12.	უსაფრთხოებისა და გატაცების საწინააღმდეგო სისტემების სერვისი	3
13.	ელექტრო და ჰიბრიდული ავტომობილების სერვისი	4
14.	მექანიკურ გადაცემათა კოლოფების, გადაბმულობის და გამანაწილებელი კოლოფების ელექტრონული მართვის სისტემის სერვისი	2
ჯამი:		38
სულ:		82

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

„მომინანქრება“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (შემდგომში - ჩარჩო დოკუმენტი) სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენებზე, რომლის საფუძველზე შექმნილია პროგრამა - საიუველირო საქმე / Jewellery პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზე შექმნილია პროგრამა: 02120-3

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მომინანქრებაში / Basic Vocational Qualification in Enamelling;

განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის მიხედვით აღნიშნული კვალიფიკაციები განეკუთვნება დეტალურ სფეროს - „გამოყენებითი ხელოვნება (ხელნაკეთობა), კოდი: 0214, აღმწერი - „შეისწავლის საიუველირო ხელოვნების, კერამიკის, ქსოვის, ხის დამუშავების და ა.შ ტექნიკასა და უნარებს“.

მიზანი: პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს საიუველირო საქმის სფეროსთვის კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება მომინანქრების მიმართულებით.

დაშვების წინაპირობა - საბაზო განათლება

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები: მომინანქრებაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია დასაქმდეს მემინანქრედ. პირს ასევე აქვს საშუალება დასაქმდეს თვითდასაქმების ფორმით.

კარიერული ზრდის თვალსაზრისით, კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია კანონით გათვალისწინებული წესების დაცვით უმაღლესი განათლების სისტემაში საიუველირო ხელოვნების მიმართულებით.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდები: 16.29; 16.29.0
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 7313; 7319

სტრუქტურა და მოდულები:

პროგრამა მოიცავს 6 ზოგად მოდულს ჯამურად 17 კრედიტის რაოდენობით, 6 საერთო პროფესიულ მოდულს ჯამური 16 კრედიტის რაოდენობით და 4 პროფესიულ მოდულს ჯამური 29 კრედიტის რაოდენობით.

მომინანქრებაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს **62 კრედიტი**.

მოდულის „ქართული ენა A2“ გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლების შერჩევაც, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების“ 28-ე მუხლის (გარდამავალი დებულებები) პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, განხორციელდება რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.

- პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 62 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 48 კვირა;
- პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 77 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 58 კვირა.

ზოგადი მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
2.	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3
3.	მეწარმეობა 1	2
4.	რაოდენობრივი წიგნიერება	2
5.	სამოქალაქო განათლება	3
6.	უცხოური ენა - ინგლისური	4
სულ		17
საერთო პროფესიული მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	საიუველირო საქმის გაცნობითი პრაქტიკა	3
2.	საიუველირო საქმის მასალათმცოდნეობა	3
3.	აკადემიური ხატვისა და ფერწერის საწყისები	4
4.	ხაზვა - ქვის, ხის და ლითონის მხატვრული დამუშავებისათვის	3
5.	საიუველირო ხელოვნების ისტორიის საწყისები	1
6.	სამუშაოს ორგანიზება საიუველირო საქმეში	2
სულ		16
„მომინანქრების“ პროფესიული მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	პრაქტიკული პროექტი მემინანქრეობაში	5
2.	ტიხრული მინანქრის ნაკეთობათა დამზადება	15
3.	მომინანქრების სხვადასხვა ტექნიკით ნაკეთობათა დამზადება	8
4.	ძველი ქართული ტიხრული მინანქრის შესრულების ტექნიკა	1
	ჯამი:	29
	სულ:	62

მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები:

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. შექმნას ნაკეთობის მომინანქრების ესკიზი
2. შეარჩიოს ნაკეთობისთვის საჭირო მასალები
3. შეარჩიოს საჭირო ინსტრუმენტები და იარაღები
4. შეასრულოს ტიხრული მინანქრის ტექნიკით სასუვენრო, საიუველირო და სხვა სახის ნაკეთობა
5. გამოიყენოს მომინანქრების სხვადასხვა ტექნიკა ნაკეთობათა დამზადებისას
6. განახორციელოს მინანქრის ნაკეთობის შესრულებაზე დავალების/დაკვეთის მიღება-გაფორმება, კალკულაცია;
7. დაგეგმოს და და განახორციელოს ნაკეთობის რეალიზაციაზე ორიენტირებული ღონისძიებები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

„ თ მ ი ს მ ო მ ს ა ხ უ რ ე ბ ა “

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (შემდგომში - ჩარჩო დოკუმენტი) სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე, რომლის საფუძველზე შექმნილია პროგრამა: თმისა და სილამაზის მომსახურება/ Hair and Beauty Services

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზე შედგა პროგრამა: 10119-3

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში / Basic Vocational Qualification in Hair and Beauty Services

მისანიჭებელი კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCED) მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - თმის და სილამაზის მომსახურებები, კოდი 1012, აღმწერი - „შეისწავლის თმისა და სხეულის მოვლას“.

მიზანი: პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს შრომის ბაზრისათვის ისეთი კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს სილამაზის ინდუსტრიაში თმის მომსახურებას.

დაშვების წინაპირობა - საბაზო განათლება

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები - თმისა და სილამაზის მომსახურებაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია შესაბამისი კონცენტრაციის საფუძველზე დასაქმდეს შემდეგ პოზიციებზე: თმის ოსტატი, პარიკმახერი, თმის სტილისტი; პირი ასევე შეიძლება იყოს თვითდასაქმებული.

- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდები: 5141; 5142.
- ეროვნული კლასიფიკატორის - (ეკონომიკური სახეები) კოდები: 96.02.; 96.02.0

სტრუქტურა და მოდულები:

პროგრამა მოიცავს 4 ზოგად მოდულს ჯამური 11 კრედიტის მოცულობით, 7 საერთო პროფესიულ მოდულს 22 კრედიტის მოცულობით, 7 დარგობრივ მოდულს ჯამური 25 კრედიტის მოცულობით, სულ 58 კრედიტს.

მოდულის „ქართული ენა A2“ გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლების შერჩევაც, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების“ 28-ე მუხლის (გარდამავალი დებულებები) პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, განხორციელდება რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.

- პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 58 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 41 კვირა;
- პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 73 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 51 კვირა.

ზოგადი მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	მეწარმეობა 1	2
2.	სამოქალაქო განათლება	3
3.	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
4.	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3
	ჯამი:	11
საერთო პროფესიული მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	სილამაზის მომსახურების ობიექტების ორგანიზება	3
2.	მარკეტინგი და გაყიდვები	2
3.	ანგარიშსწორება, კალკულაცია და ხარჯთაღრიცხვა სილამაზის მომსახურების ობიექტებზე	3
4.	პირველადი გადაუდებელი დახმარება	3
5.	ფრჩხილის, თმის და კანის ტიპები	4
6.	სპეცხატვა და ფერთა თეორია	3
7.	დარგობრივი ინგლისური ენა	4
	ჯამი:	22
თმის მომსახურების მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	თმის შეჭრის ტექნოლოგია	5
2.	თმის ვარცხნილობები	3
3.	თმის ღებვა	6
4.	თმის სპა პროცედურები	1
5.	თმის ქიმიური დამუშავების ტექნოლოგია	3
6.	პრაქტიკული პროექტი - თმის მომსახურება	1
7.	საწარმოო პრაქტიკა - თმის მომსახურება	6
	ჯამი:	25
	სულ:	58

მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამის სწავლის შედეგები:

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. შეჭრას თმა;
2. სუბსტრაქტული სქემით აფორმიროს ძირითადი ფერები;
3. მოახდინოს პალიტრის კლასიფიცირება;
4. შეღებოს და გააღიას თმა;
5. შეასრულოს თმის ქიმიური დახვევა და გასწორება;
6. შეასრულოს სხვადასხვა სახის ვარცხნილობები;
7. შეასრულოს წვერ-ულვაშისა და ბაკენბარდების მოდელირება
8. შეასრულოს თმის სპა პროცედურები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

„კულინარიის ხელოვნება“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (შემდგომში - ჩარჩო დოკუმენტი) სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე, რომლის საფუძველზე შემუშავებულია პროგრამა - სასტუმრო, რესტორანი და კვება / Hotel, Restaurants and Catering

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზე შემუშავებულია პროგრამა: : 10117-3

მისანიჭებელი კვალიფიკაციები ქართულ და ინგლისურ ენაზე - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიის ხელოვნებაში / Basic Vocational Qualification in Cooking

აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - სასტუმრო, რესტორანი და კვება - კოდი 1013. აღმწერი - „შეისწავლის საკვების, სასმელის, დაბინავების და სხვა დაკავშირებულ მომსახურებებს სასტუმროსა და რესტორანში“.

მიზანი - პროგრამის მიზანია, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის უზრუნველყოს საკვები პროდუქტების კულინარიის სპეციალისტის მომზადება, რომელიც შეძლებს რესტორნის ყველა განყოფილებაში მუშაობას კვების ჰიგიენის, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისა და სურსათის უვნებლობის წესების დაცვით.

დაშვების წინაპირობა - საბაზო განათლება

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები - კულინარიის ხელოვნების საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერი ტიპის სასტუმროში, რესტორანსა და სხვა კვებისა და შინა მეურნეობებში, ობიექტებში, სადაც გეგმავენ, ორგანიზებას უკეთებენ და ამზადებენ საკვებს შემდეგ პოზიციებზე: სასურსათო კვების მომსახურების პუნქტების მომსახურე პერსონალი, მზარეულები, სამზარეულოში დამხმარეები.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდები: 56; 56.1; 56.10.
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 5246; 5129; 9412.

სტრუქტურა და მოდულები

პროგრამის მოცულობა - 86 კრ. საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მისაღებად იმ სტუდენტებმა, რომელთაც პროფესიული ტესტირება გაიარეს ქართულ ენაზე უნდა დააგროვონ ჯამურად 86 კრედიტი, რომელთაგან 7 კრედიტი არის ზოგადი მოდულები, 18 კრედიტი არის საერთო პროფესიული მოდულები, 55 კრედიტი არის პროფესიული მოდულები, ხოლო 6 კრედიტი არჩევითი მოდული.

მოდულის „ქართული ენა A2“ გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომელთა შერჩევაც, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების“ 28-ე მუხლის (გარდამავალი დებულებები) პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, განხორციელდება რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.

- პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 86 კრედიტი
- პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 62 კვირა
- პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 95 კრედიტი
- პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 72 კვირა

პროგრამა ითვალისწინებს „გაცნობითი პრაქტიკისა“ და „პრაქტიკული პროექტის“ მოდულებს. „გაცნობითი პრაქტიკის“ მოდულის მიზანია, პროფესიულ სტუდენტს შეუქმნას წარმოდგენა შესაბამისი სფეროს, დასაქმების შესაძლებლობების, ორგანიზაციული მოწყობისა და პოზიციების, შრომითი ურთიერთობების შესახებ. პრაქტიკული

პროექტი კი განსაზღვრავს ინტეგრირებული დავალების ტიპს, რომლის შესრულებისას პროფესიული სტუდენტი კულინარიის ხელოვნების სპეციალიზაციისთვის საჭირო უნარებს დაადასტურებს.

კულინარიის ხელოვნება		
№	ზოგადი მოდულები	კრედიტი
1.	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
2..	უცხოური ენა	4
ჯამი:		7
№	საერთო პროფესიული მოდულები	კრედიტი
1.	გაცნობითი პრაქტიკა - სასტუმრო, რესტორანი და კვება	2
2.	ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის შესავალი	4
3.	პირველადი გადაუდებელი დახმარება	2
4.	ჰიგიენა და სანიტარული ნორმები	2
5.	სასტუმროსა და რესტორნის-სამზარეულოს დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფა	4
6.	კომუნიკაცია სერვისის სფეროსთვის	2
7.	გარემოსდაცვითი საფუძვლები	2
ჯამი:		18
№	პროფესიული მოდულები - კულინარიის ხელოვნება	კრედიტი
1.	საკვები პროდუქტების ტექნოლოგია	4
2.	კულინარული ხელოვნების ისტორია	2
3.	მარაგების კონტროლი	2
4.	კერძების მომზადების ტექნოლოგია	7
5.	ქართული სამზარეულოს ძირითადი კერძების მომზადება	9
6.	ქართული სამზარეულოს საუზმეული	5
7.	საერთაშორისო სამზარეულოს გავრცელებული კერძების მომზადება	9
8.	კულინარული მინი ნაწარმის მომზადება	3
9.	სამზარეულოს ფუნქციონირება/სამზარეულოს ტექნოლოგიები (კულინარიის ხელოვნებისათვის)	4
10.	კალკულაცია და აღრიცხვა კვების ობიექტებში	4
11.	პრაქტიკული პროექტი - კულინარიის ხელოვნება / მზარეული	6
ჯამი:		55
№	არჩევითი მოდული	კრედიტი
1.	საწარმოო პრაქტიკა	6
სულ:		86

მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები:

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. განახორციელოს საკვები პროდუქტებისა და ნედლეულის პირველადი და მექანიკური დამუშავება
2. განახორციელოს ნედლეულისა და პროდუქტის თერმული დამუშავება
3. მოამზადოს მარტივი კერძები
4. მოამზადოს ქართული სამზარეულოს გავრცელებული ძირითადი კერძები და გარნირები
5. მოამზადოს საერთაშორისო სამზარეულოს გავრცელებული ძირითადი კერძები და გარნირები
6. განსაზღვროს კერძის მოსამზადებლად საჭირო ნედლეულის რაოდენობა
7. განახორციელოს პროდუქტისა და დამხმარე მასალების შეკვება და მიღება-განთავსება
8. აღრიცხოს ვადაგასული და გაფუჭებული პროდუქტი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

„კონდიტერია“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (შემდგომში - ჩარჩო დოკუმენტი) სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე, რომლის საფუძველზე შექმნილია პროგრამა: სასტუმრო, რესტორანი და კვება / Hotel, Restaurants and Catering

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზე შექმნილია პროგრამა: 10117-3

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კონდიტერიაში/ Basic Vocational Qualification in Confectionery

აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - სასტუმრო, რესტორანი და კვება - კოდი 1013. აღმწერი - „შეისწავლის საკვების, სასმელის, დაბინავების და სხვა დაკავშირებულ მომსახურებებს სასტუმროსა და რესტორანში“.

მიზანი - პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის მაღალი კვალიფიკაციის მქონე კონდიტერების მომზადება.

დაშვების წინაპირობა - საბაზო განათლება

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები - კონდიტერიის პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერი ტიპის სასტუმროსა და რესტორანში, როგორც დაბალი რგოლის თანამშრომლად, ისე საშუალო რგოლის პოზიციაზე, კერძოდ,

კონდიტერის საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს საკონდიტრო საამქროებში, საცხობებში, სუპერმარკეტებში, სხვადასხვა კლასის რესტორნებში, კაფეებში, სასტუმროებში, საკურორტო, გასართობ, ტურისტულ კომპლექსებში შემდეგ პოზიციებზე: მცხობელები, მემოკოლადეები, კონდიტერები და ტკბილეულის დამამზადებლები

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდები: 56; 56.1; 56.10.
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 7512.

კურსდამთავრებულს შეუძლია საკუთარი ბიზნესის წარმოება - თვითდასაქმება.

სტრუქტურა და მოდულები

პროგრამა მოიცავს 2 ზოგად მოდულს ჯამური 7 კრედიტის ოდენობით, 7 საერთო პროფესიულ მოდულს ჯამური 18 კრედიტის ოდენობით, 16 პროფესიულ მოდულს ჯამური 55 კრედიტის ოდენობით. საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პირმა უნდა დააგროვოს 80 კრედიტი.

პროგრამა ითვალისწინებს „გაცნობითი პრაქტიკისა“ და „პრაქტიკული პროექტის“ მოდულებს. „გაცნობითი პრაქტიკის“ მიზანია, პროფესიულ სტუდენტს სწავლების დასაწყისში შეუქმნას წარმოდგენა შესაბამისი სფეროს, დასაქმების შესაძლებლობების, ორგანიზაციული მოწყობისა და პოზიციების, შრომითი ურთიერთობების შესახებ. პრაქტიკული პროექტი განსაზღვრავს ინტეგრირებული დავალების ტიპს, რომლის შესრულებისას პროფესიული სპეციალიზაციისთვის საჭირო უნარებს დაადასტურებს.

მოდულის „ქართული ენა A2“ გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომელთა შერჩევაც, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების“ 28-ე მუხლის (გარდამავალი დებულებები) პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, განხორციელდება რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე

სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.

- პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 80 კრედიტი
- პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 62 კვირა
- პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 95 კრედიტი
- პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 72 კვირა

№	ზოგადი მოდულები	კრედიტი
1.	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
2.	უცხოური ენა	4
ჯამი:		7
№	საერთო პროფესიული მოდულები	კრედიტი
1.	გაცნობითი პრაქტიკა - სასტუმრო, რესტორანი და კვება	2
2.	ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის შესავალი	4
3.	პირველადი გადაუდებელი დახმარება	2
4.	ჰიგიენა და სანიტარული ნორმები	2
5.	სასტუმროსა და რესტორნის-სამზარეულოს დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფა	4
6.	კომუნიკაცია სერვისის სფეროსთვის	2
7.	გარემოსდაცვითი საფუძვლები	2
ჯამი:		18
№	პროფესიული მოდულები	კრედიტი
1.	საკონდიტრო პროდუქტების ტექნოლოგია	3
2.	საკონდიტრო საამქროს ფუნქციონირება/მარაგების კონტროლი	4
3.	საკონდიტრო ცომების და გულსართების მომზადება, ფხვიერი, ნახევრადფხვიერი და ფილოს ცომით ნამცხვრების მომზადება	4
4.	ბისკვიტის ცომით ნამცხვრებისა და სერიული წარმოების კრემიანი ტორტების მომზადება	4
5.	ვაჟინების, საკონდიტრო სოუსების, ჭიქურების, ჟელესა და მარმელადის მომზადება	5
6.	ხატვა და ძერწვა	2
7.	კექსების მომზადება	2
8.	პურ-ფუნთუშეული/ფენოვანი ცომით ნამცხვრების მომზადება	6
9.	მოხარშული ცომით ნამცხვრების მომზადება	2
10.	საკონდიტრო მინი ნაწარმის მომზადება	2
11.	კარამელის სამუშაოები	3
12.	შოკოლადის სამუშაოები	4
13.	მარციპანის და შაქრის ცომის სამუშაოები	3
14.	საკონდიტრო ხელოვნების ისტორია	2
15.	კალკულაცია და აღრიცხვა კვების ობიექტებში	4
16.	პრაქტიკული პროექტი-კონდიტერია	5
ჯამი:		55
სულ:		80

მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები:

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. მოამზადოს სხვადასხვა სახის პურ-ფუნთუშეული, მათ შორის ბრიოში
2. მოამზადოს ჰოთ-დოგის, ტოსტის პური
3. მოამზადოს კრუსასანი, დენიშები, ნამცხვრები
4. მოამზადოს საკონდიტრო კრემები, სუფლე, ზეფირი და განაში
5. მოამზადოს ვაჟინი, საკონდიტრო სოუსი, მინანქარი, ჟელე, მარმელადი, ჯემი, კონფიტიური, ჭიქურა და

მურაბა

6. მოამზადოს შოკოლადი, შაქრის ცომი, მარციპანი და კარამელი
7. მოამზადოს ცივი და ცხელი დესერტები
8. შეადგინოს სადღესასწაულო ტორტის ესკიზი და ნახაზი
9. გამოაცხოს სხვადასხვა სახის ტორტი
10. აღრიცხოს ვადაგასული და გაფუჭებული პროდუქტი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

„სასტუმრო მომსახურება“

(პროგრამა ხორციელდება მიღწევად რეჟიმში)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე რომლის საფუძველზე შექმნილია პროგრამა: სასტუმრო, რესტორანი და კვება / Hotel, Restaurants and Catering (პროგრამა ასევე შემუშავებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს 2019 წლის 19 აგვისტოს N170/ნ ბრძანების საფუძველზე)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზე შექმნილია პროგრამა: 10117-3

მისანიჭებელი კვალიფიკაციები ქართულ და ინგლისურ ენაზე - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმრო მომსახურებაში / Secondary Vocational Qualification in Hotel Service

აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - სასტუმრო, რესტორანი და კვება - კოდი 1013. აღმწერი - „შეისწავლის საკვების, სასმელის, დაბინავების და სხვა დაკავშირებულ მომსახურებებს სასტუმროსა და რესტორანში“.

მიზანი - პროგრამის მიზანია, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის მოამზადოს სასტუმრო მომსახურების სპეციალისტები.

დაშვების წინაპირობები - პროგრამის დანართი 1-ით გათვალისწინებული სასწავლო გეგმით სწავლებაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება

პროგრამის დანართი 27-ით გათვალისწინებული სასწავლო გეგმით სწავლებაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დაშვების წინაპირობაა საბაზო ზოგადი განათლება

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები - სასტუმროს მომსახურების საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს სასტუმროებსა და განთავსების მსგავს ორგანიზაციებში (რესტორნებით და რესტორნების გარეშე) შემდეგ პოზიციებზე: სასტუმროს მიმღების ოპერატორები, ოფისების, სასტუმროებისა და სხვა დაწესებულებების დასუფთავება-დალაგების მეთვალყურეები.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდები: 55; 55.1; 55.10.
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 4224; 5151.

კურსდამთავრებულს შეუძლია საკუთარი ბიზნესის წარმოება - თვითდასაქმება.

სტრუქტურა და მოდულები

1) „სასტუმრო მომსახურების“ პროგრამა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმით მოიცავს 2 ზოგად მოდულს ჯამური 8 კრედიტის ოდენობით, 7 საერთო პროფესიულ მოდულს ჯამური 18 კრედიტის ოდენობით, 11 პროფესიულ მოდულს ჯამური 54 კრედიტის ოდენობით და ერთი არჩევით მოდულს 6 კრედიტის ოდენობით. საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პირმა უნდა დააგროვოს **86** კრედიტი.

მოდულების „ქართული ენა A2“ და „ქართული ენა B1“ გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომელთა შერჩევაც, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების“ 28-ემუხლის (გარდამავალი დებულებები) პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, განხორციელდება რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

- პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 86 კრედიტი

- პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 63 კვირა
- პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 116 კრედიტი
- პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 83 კვირა

პროგრამა ითვალისწინებს „გაცნობითი პრაქტიკისა“ და „პრაქტიკული პროექტის“ მოდულებს. „გაცნობითი პრაქტიკის“ მოდულის მიზანია, პროფესიულ სტუდენტს სწავლების დასაწყისში შეუქმნას წარმოდგენა შესაბამისი სფეროს, დასაქმების შესაძლებლობების, ორგანიზაციული მოწყობისა და პოზიციების, შრომითი ურთიერთობების შესახებ. პრაქტიკული პროექტი განსაზღვრავს ინტეგრირებული დავალების ტიპს, რომლის შესრულებისას პროფესიული სტუდენტი სასტუმრო მომსახურების სპეციალისტისთვის საჭირო უნარებს დაადასტურებს.

№	ზოგადი მოდულები	კრედიტი
1.	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
2.	უცხოური ენა	5
ჯამი:		8
№	საერთო პროფესიული მოდულები	კრედიტი
1.	გაცნობითი პრაქტიკა - სასტუმრო, რესტორანი და კვება	2
2.	ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის შესავალი	4
3.	პირველადი გადაუდებელი დახმარება	2
4.	ჰიგიენა და სანიტარული ნორმები	2
5.	სასტუმროსა და რესტორნის-სამზარეულოს დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფა	4
6.	კომუნიკაცია სერვისის სფეროსთვის	2
7.	გარემოსდაცვითი საფუძვლები	2
ჯამი:		18
№	პროფესიული მოდულები - სასტუმრო მომსახურება	კრედიტი
1.	პრობლემური სიტუაციების მართვა სასტუმროში	3
2.	ინგლისური ენა ტურიზმის მომსახურების სფეროსათვის	5
3.	სასტუმროს ადმინისტრაციული პროცესების უზრუნველყოფა	4
4.	სასტუმროს დაჯავშნისა და მიღება-განთავსების პროცედურების უზრუნველყოფა, ცვლის მოვალეობები და აუდიტი	8
5.	სასტუმროს კვებისა და სასმელების მომსახურების უზრუნველყოფა	5
6.	სასტუმროს უსაფრთხოების უზრუნველყოფა	3
7.	მარტივი მარკეტინგული საქმიანობა სასტუმროში	5
8.	სასტუმროს შესყიდვებისა და მარაგების უზრუნველყოფა	5
9.	მეორე უცხოური ენა სასტუმრო მომსახურებისთვის	5
10.	სასტუმროს დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფა	5
11.	პრაქტიკული პროექტი - სასტუმრო მომსახურება	6
ჯამში		54
არჩევითი მოდული		კრედიტი
1.	საწარმოო პრაქტიკა	6
სულ ჯამი		86

„სასტუმრო მომსახურების“ პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები მოიცავს 2 ზოგად მოდულს ჯამური 8 კრედიტის ოდენობით, 5 ინტეგრირებულ ზოგად მოდულს 60 კრედიტის ოდენობით, 7 საერთო პროფესიულ მოდულს ჯამური 18 კრედიტის ოდენობით, 11 პროფესიულ მოდულს ჯამური 54 კრედიტის ოდენობით და ერთ არჩევით მოდულს 6 კრედიტის ოდენობით.

სასტუმრო მომსახურების საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს 146 კრედიტი.

მოდულების „ქართული ენა A2“ და „ქართული ენა B1“ გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლების შერჩევაც, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და

პირობების“28-ემუხლის(გარდამავალი დებულებები)პირველი პუნქტის„ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, განხორციელდება რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

- პროგრამის მოცულობა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 146 კრედიტი
- პროგრამის ხანგრძლივობა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 114 კვირა
- პროგრამის მოცულობა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 176 კრედიტი
- პროგრამის ხანგრძლივობა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 134 კვირა

№	ზოგადი მოდულები	კრედიტი
1.	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
2.	უცხოური ენა	5
ჯამი:		8
№	ზოგადი ინტეგრირებული მოდულები	
1.	კომუნიკაცია ქართულ ენაზე	14
2.	მათემატიკური წიგნიერება	14
3.	მეცნიერება და ტექნოლოგიები	18
4.	მეწარმეობა	4
5.	მოქალაქეობა	10
ჯამი:		60
1.	გაცნობითი პრაქტიკა - სასტუმრო, რესტორანი და კვება	2
2.	ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის შესავალი	4
3.	პირველადი გადაუდებელი დახმარება	2
4.	ჰიგიენა და სანიტარული ნორმები	2
5.	სასტუმროსა და რესტორნის-სამზარეულოს დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფა	4
6.	კომუნიკაცია სერვისის სფეროსთვის	2
7.	გარემოსდაცვითი საფუძვლები	2
ჯამი:		18
№	პროფესიული მოდულები - სასტუმრო მომსახურება	კრედიტი
1.	პრობლემური სიტუაციების მართვა სასტუმროში	3
2.	ინგლისური ენა ტურიზმის მომსახურების სფეროსათვის	5
3.	სასტუმროს ადმინისტრაციული პროცესების უზრუნველყოფა	4
4.	სასტუმროს დაჯავშნისა და მიღება-განთავსების პროცედურების უზრუნველყოფა, ცვლის მოვალეობები და აუდიტი	8
5.	სასტუმროს კვებისა და სასმელების მომსახურების უზრუნველყოფა	5
6.	სასტუმროს უსაფრთხოების უზრუნველყოფა	3
7.	მარტივი მარკეტინგული საქმიანობა სასტუმროში	5
8.	სასტუმროს შესყიდვებისა და მარაგების უზრუნველყოფა	5
9.	მეორე უცხოური ენა სასტუმრო მომსახურებისთვის	5
10.	სასტუმროს დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფა	5
11.	პრაქტიკული პროექტი - სასტუმრო მომსახურება	6
ჯამში		54
არჩევითი მოდული		კრედიტი
1.	საწარმოო პრაქტიკა	6
სულ ჯამი		146

მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები:

კურსდამთავრებულს შეუძლია:

სწავლის შედეგები სასტუმროს მომსახურების მიმართულებით

1. განახორციელოს დაჯავშნისა და მიღება-განთავსების პროცედურა
2. უზრუნველყოს დასუფთავების მომსახურება
3. შეასრულოს სასტუმროს შიდა, მარტივი მარკეტინგული საქმიანობა
4. უზრუნველყოს სასტუმროს უსაფრთხოების წესების დანერგვა
5. სასტუმროში მართოს პრობლემური სიტუაციები
6. აკონტროლოს ცვლების მონაცვლეობა
7. უზრუნველყოს სასტუმროს ძირითადი და დამატებითი მომსახურებების მიწოდება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: სარესტორნო მომსახურება

(პროგრამა ხორციელდება მიღწევი რეჟიმში)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე რომლის საფუძველზე შექმნილია პროგრამა: სასტუმრო, რესტორანი და კვება / Hotel, Restaurants and Catering (პროგრამა ასევე შემუშავებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს 2019 წლის 19 აგვისტოს N170/ნ ბრძანების საფუძველზე)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზე შექმნილია პროგრამა: 10117-3

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სარესტორნო მომსახურებაში / Secondary Vocational Qualification in Restaurant Service

აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - სასტუმრო, რესტორანი და კვება - კოდი 1013. აღმწერი - „შეისწავლის საკვების, სასმელის, დაბინავების და სხვა დაკავშირებულ მომსახურებებს სასტუმროსა და რესტორანში“.

მიზანი - პროგრამის მიზანია, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის მოამზადოს სარესტორნო მომსახურების სპეციალისტები.

დაშვების წინაპირობები

- საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია - სრული ზოგადი განათლება;
- საბაზო ზოგადი განათლება - იმ შემთხვევაში თუ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები - სარესტორნო მომსახურების საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს რესტორნებში, კაფეებსა და საკვებით მობილური მომსახურების ობიექტებში შემდეგ პოზიციებზე: მიმტანები, სასურსათო კვების მომსახურების პუნქტების მომსახურე პერსონალი.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდები: 55; 55.1; 55.10.
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 5131; 5246.

კურსდამთავრებულს შეუძლია საკუთარი ბიზნესის წარმოება - თვითდასაქმება.

სტრუქტურა და მოდულები

1) „სარესტორნო მომსახურების“ პროგრამა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმით მოიცავს 2 ზოგად მოდულს ჯამური 8 კრედიტის ოდენობით, 7 საერთო პროფესიულ მოდულს ჯამური 18 კრედიტის ოდენობით, 11 პროფესიულ მოდულს ჯამური 54 კრედიტის ოდენობით და ერთი არჩევით მოდულს 6 კრედიტის ოდენობით. საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პირმა უნდა დააგროვოს **86** კრედიტი.

მოდულების „ქართული ენა A2“ და „ქართული ენა B1“ გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომელთა შერჩევაც, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების“ 28-ე მუხლის (გარდამავალი დებულებები) პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, განხორციელდება რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

- პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 86 კრედიტი
- პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 65 კვირა
- პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 116 კრედიტი
- პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 85 კვირა

პროგრამა ითვალისწინებს „გაცნობითი პრაქტიკისა“ და „პრაქტიკული პროექტის“ მოდულებს. „გაცნობითი პრაქტიკის“ მოდულის მიზანია, პროფესიულ სტუდენტს სწავლების დასაწყისში შეუქმნას წარმოდგენა შესაბამისი სფეროს, დასაქმების შესაძლებლობების, ორგანიზაციული მოწყობისა და პოზიციების, შრომითი ურთიერთობების შესახებ. პრაქტიკული პროექტი განსაზღვრავს ინტეგრირებული დავალების ტიპს, რომლის შესრულებისას პროფესიული სტუდენტი სარესტორნო მომსახურების სპეციალისტისთვის საჭირო უნარებს დაადასტურებს.

სარესტორნო მომსახურება		
№	ზოგადი მოდულები	კრედიტი
1.	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
2.	უცხოური ენა	5
ჯამი:		8
№	საერთო პროფესიული მოდულები	კრედიტი
1.	გაცნობითი პრაქტიკა - სასტუმრო, რესტორანი და კვება	2
2.	ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის შესავალი	4
3.	პირველადი გადაუდებელი დახმარება	2
4.	ჰიგიენა და სანიტარული ნორმები	2
5.	სასტუმროსა და რესტორნის-სამზარეულოს დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფა	4
6.	კომუნიკაცია სერვისის სფეროსთვის	2
7.	გარემოსდაცვითი საფუძვლები	2
ჯამი:		18
№	პროფესიული მოდულები - სარესტორნო მომსახურება	კრედიტი
1.	ღონისძიებების ორგანიზება	4
2.	უსაფრთხოების მართვა	2
3.	მარკეტინგი და გაყიდვები	3
4.	პრობლემური სიტუაციების მართვა რესტორანში	4
5.	ფინანსების და მატერიალური რესურსების მართვა	6
6.	ინგლისური ენა ტურიზმის მომსახურების სფეროსთვის	6
7.	მეორე უცხოური ენა სარესტორნო საქმიანობისთვის	5
8.	კვების ობიექტების მართვა	5
9.	სერვისი და სერვირება	10
10.	სამზარეულოს ფუნქციონირება/სამზარეულო ტექნოლოგიები (სარესტორნო მომსახურებისთვის)	3
11.	პრაქტიკული პროექტი- სარესტორნო მომსახურება	6
ჯამი:		54
№	არჩევითი მოდულები	კრედიტი
1.	საწარმოო პრაქტიკა	6
ჯამი:		6
სულ ჯამი:		86

2) „სარესტორნო მომსახურების“ პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები მოიცავს 2 ზოგად მოდულს ჯამური 8 კრედიტის ოდენობით, 5 ინტეგრირებულ ზოგად მოდულს 60 კრედიტის ოდენობით, 7 საერთო პროფესიულ მოდულს ჯამური 18 კრედიტის ოდენობით, 11 პროფესიულ მოდულს ჯამური 54 კრედიტის ოდენობით და ერთ არჩევით მოდულს 6 კრედიტის ოდენობით. სარესტორნო მომსახურების საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს 146 კრედიტი.

მოდულების „ქართული ენა A2“ და „ქართული ენა B1“ გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომელთა შერჩევაც, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების“ 28-ემუხლის (გარდამავალი დებულებები) პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, განხორციელდება რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

- პროგრამის მოცულობა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 146 კრედიტი
- პროგრამის ხანგრძლივობა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 116 კვირა
- პროგრამის მოცულობა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 176 კრედიტი
- პროგრამის ხანგრძლივობა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 136 კვირა

№	ზოგადი მოდულები	კრედიტი
1.	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
2.	უცხოური ენა	5
ჯამი:		8
№	ზოგადი ინტეგრირებული მოდულები	კრედიტი
1.	კომუნიკაცია ქართულ ენაზე	14
2.	მათემატიკური წიგნიერება	14
3.	მეცნიერება და ტექნოლოგიები	18
4.	მეწარმეობა	4
5.	მოქალაქეობა	10
ჯამი:		60
№	საერთო პროფესიული მოდულები	კრედიტი
1.	გაცნობითი პრაქტიკა - სასტუმრო, რესტორანი და კვება	2
2.	ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის შესავალი	4
3.	პირველადი გადაუდებელი დახმარება	2
4.	ჰიგიენა და სანიტარული ნორმები	2
5.	სასტუმროსა და რესტორნის-სამზარეულოს დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფა	4
6.	კომუნიკაცია სერვისის სფეროსთვის	2
7.	გარემოსდაცვითი საფუძვლები	2
ჯამი:		18
№	პროფესიული მოდულები - სარესტორნო მომსახურება	კრედიტი
1.	ლონისძიებების ორგანიზება	4
2.	უსაფრთხოების მართვა	2
3.	მარკეტინგი და გაყიდვები	3
4.	პრობლემური სიტუაციების მართვა რესტორანში	4
5.	ფინანსების და მატერიალური რესურსების მართვა	6
6.	ინგლისური ენა ტურიზმის მომსახურების სფეროსთვის	6

7.	მეორე უცხოური ენა სარესტორნო საქმიანობისთვის	5
8.	კვების ობიექტების მართვა	5
9.	სერვისი და სერვირება	10
10.	სამზარეულოს ფუნქციონირება/სამზარეულო ტექნოლოგიები (სარესტორნო მომსახურებისთვის)	3
11.	პრაქტიკული პროექტი - სარესტორნო მომსახურება	6
ჯამი:		54
№	არჩევითი მოდული	კრედიტი
1.	საწარმოო პრაქტიკა	6
ჯამი:		6
სულ ჯამი:		146

მისანიჭებელი კვალიფიკაციების შესაბამისი სწავლის შედეგები:

კურსდამთავრებულს შეუძლია:

სწავლის შედეგები რესტორნის მომსახურების მიმართულებით

1. განახორციელოს სერვისი და სერვირება რესტორანსა და კაფეში
2. განახორციელოს შესყიდვებისა და მარაგების მონიტორინგი
3. შეადგინოს კვების ობიექტის ბიზნესგეგმა
4. შეადგინოს კვების ობიექტის ფინანსური გეგმა
5. განახორციელოს ობიექტის ფუნქციონირების კონტროლი
6. განახორციელოს სამუშაო პროცესის ორგანიზება
7. განახორციელოს დღესასწაულების, პრეზენტაციების, საქმიანი შეხვედრების, კონფერენციების ორგანიზება
8. უზრუნველყოს კვების ობიექტზე სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა-დანერგვა
9. მართოს პრობლემური სიტუაციები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: მხატვრული ქსოვა

(პროგრამა ხორციელდება მიღწევად რეჟიმში)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე, რომლის საფუძველზე შექმნილია პროგრამა: მხატვრული ქსოვილები/Artistic Fabrics

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზე შექმნილია პროგრამა: 02126-3

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მხატვრულ ქსოვაში / Basic Vocational Qualification in Artistic Knitting, აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - გამოყენებითი ხელოვნება (ხელნაკეთობა), კოდი 0214, აღმწერი - „შეისწავლის საიუველირო ხელოვნების, კერამიკის, ქსოვის, ხის დამუშავების და ა.შ ტექნიკასა და უნარებს“.

მიზანი - პროგრამის მიზანია, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება მხატვრული ქსოვის მიმართულებით.

დაშვების წინაპირობა - საბაზო განათლება

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები - მხატვრული ქსოვის საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ნართის მღებავად, ხალიჩის მქსოველად, ფარდაგის მქსოველად, გობელენის მქსოველად, ტრიკოტაჟული ნაწარმის მქსოველად. პირს შეუძლია დასაქმდეს როგორც მსხვილ, საშუალო, ისე მცირე საწარმოში, სამხატვრო სალონებში დარგის სპეციალისტად. ასევე შეუძლია დააფუძნოს სახელოსნო-სტუდია და იმუშაოს კერძო შეკვეთებზე.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდები: 13.1; 13.2; 13.20; 13.20.0; 13.3; 13.30; 13.30.0; 13.9; 13.91; 13.91.0; 13.93; 13.93.0.
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 7318.

სტრუქტურა და მოდულები

პროგრამა მოიცავს 7 ზოგად მოდულს 19 ჯამური კრედიტის ოდენობით, 5 საერთო პროფესიულ მოდულს 20 კრედიტის ოდენობით და 6 სავალდებულო პროფესიულ მოდულს ჯამური 37 კრედიტის ოდენობით. მხატვრულ ქსოვაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს **76** კრედიტი.

მოდულის „ქართული ენა A2“ გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლების შერჩევაც, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების“ 28-ე მუხლის (გარდამავალი დებულებები) პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, განხორციელდება რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე. აღნიშნული პირობისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.

- პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 76 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 62 კვირა;
- პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 91 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 72 კვირა.

ზოგადი მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
2.	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3
3.	მეწარმეობა 1	2
4.	რაოდენობრივი წიგნიერება	2
5.	სამოქალაქო განათლება	3

6.	უცხოური ენა	4
7.	გარემოსდაცვითი საფუძვლები	2
	ჯამი:	19
საერთო პროფესიული მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	გაცნობითი პრაქტიკა - მხატვრული ქსოვილები	2
2.	აკადემიური ხატვისა და ფერწერის საწყისები	4
3.	საფეიქრო მასალათმცოდნეობის საწყისები	2
4.	საფეიქრო მასალის დებვა	4
5.	ქსოვილის მხატვრული მოხატვა (ბატიკა, შიბორი, დაჩითვა)	8
	ჯამი:	20
მხატვრული ქსოვის პროფესიული მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	ფარდაგის ქსოვა 2	6
2.	ხალიჩის ქსოვა 2	7
3.	გობელენის ქსოვა 2	7
4.	ყაისნალითა და ჩხირებით ქსოვა 2	7
5.	მხატვრული ტრიკოტაჟის ქსოვა 2	5
6.	პრაქტიკული პროექტი - მხატვრული ნაქსოვის შესრულება	5
	ჯამი:	37
	სულ:	76

მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. შექმნას ესკიზი;
2. მოქსოვოს ფარდაგი;
3. მოქსოვოს ხალიჩა;
4. მოქსოვოს გობელენი;
5. მოქსოვოს ყაისნალით;
6. მოქსოვოს ჩხირებით;
7. მოქსოვოს მხატვრული ტრიკოტაჟის ნაწარმი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: „თექის დამზადება“

(პროგრამა ხორციელდება მიღვეად რეჟიმში)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (შემდგომში - ჩარჩო დოკუმენტი) სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე, რომლის საფუძველზე შექმნილია პროგრამა: მხატვრული ქსოვილები/Artistic Fabrics

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზე შექმნილია პროგრამა: 02126-3

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თექის დამზადებაში / Basic Vocational Qualification in Felt Preparation

აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - გამოყენებითი ხელოვნება (ხელნაკეთობა), კოდი 0214, აღმწერი - „შეისწავლის საიუველირო ხელოვნების, კერამიკის, ქსოვის, ხის დამუშავების და ა.შ ტექნიკასა და უნარებს“.

მიზანი - პროგრამის მიზანია, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება თექის დამზადების მიმართულებით.

დაშვების წინაპირობა - საბაზო განათლება

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები - თექის დამზადების საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს მატყლის მღებავად, ცხოველური ბოჭკოს მჩეჩავად, მატყლის მთელავად. ტრადიციული თექის აქსესუარების დამამზადებლად. პირს შეუძლია დასაქმდეს შესაბამის საწარმოებში, სამხატვრო სალონებსა და კერძო სახელოსნოებში, ასევე შესაძლებელია თვითდასაქმება.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის 13.1; 13.2; 13.20; 13.20.0; 13.3; 13.30; 13.30.0; 13.96.0; 14.19.
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 7318.

სტრუქტურა და მოდულები

პროგრამა მოიცავს 7 სავალდებულო ზოგად მოდულს ჯამურად 19 კრედიტის ოდენობით, 5 საერთო პროფესიულ მოდულს ჯამურად 20 კრედიტის ოდენობით და 6 სავალდებულო პროფესიულ მოდულს ჯამური 37 კრედიტის ოდენობით. კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს 76 კრედიტი.

მოდულის „ქართული ენა A2“ გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლების შერჩევაც, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების“ 28-ე მუხლის (გარდამავალი დებულებები) პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, განხორციელდება რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.

- პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 76 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 62 კვირა;
- პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 91 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 72 კვირა.

ზოგადი მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
2.	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3
3.	მეწარმეობა 1	2
4.	რაოდენობრივი წიგნიერება	2
5.	სამოქალაქო განათლება	3
6.	უცხოური ენა	4
7.	გარემოსდაცვითი საფუძვლები	2
	ჯამი:	19
საერთო პროფესიული მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
	გაცნობითი პრაქტიკა - მხატვრული ქსოვილები	2
	აკადემიური ხატვისა და ფერწერის საწყისები	4
	საფეიქრო მასალათმცოდნეობის საწყისები	2
	საფეიქრო მასალის ღებვა	4
	ქსოვილის მხატვრული მოხატვა (ბატყა, შიბორი, დაჩითვა)	8
	ჯამი:	20
თექის დამზადების სავალდებულო პროფესიული მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	მატყლის თელვა სიბრტყეზე სველი და მშრალი მეთოდით 2	10
2.	მატყლის თელვა მოცულობით ფორმებზე 2	8

3.	მხატვრული თექის ნაწარმისა და აქსესუარების დამზადება 2	8
4.	ქვილთი-ქსოვილის მხატვრული დაგვირისტება 2	6
5.	პრაქტიკული პროექტი - თექის დამზადება 2	5
	ჯამი:	37
	სულ:	76

მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. შექმნას ესკიზი;
2. მოამზადოს მატყლი თელვისათვის;
3. მოთელოს მატყლი სიბრტყეზე სველი და მშრალი მეთოდით;
4. მოთელოს მატყლი მოცულობით ფორმებზე;
5. დაამზადოს მხატვრული თექის ნაწარმი და აქსესუარები;
6. შექმნას მხატვრული ქსოვილი - ქვილთი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: გრაფიკული დიზაინის შესრულება

(პროგრამა ხორციელდება მიღწევად რეჟიმში)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე, რომლის საფუძველზე შექმნილია პროგრამა: ციფრული ხელოვნება / Digital Art

(პროგრამა ასევე შემუშავებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს N170/ნ ბრძანების საფუძველზე).

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზე შექმნილია პროგრამა: 02122-3

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე: საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ციფრულ ხელოვნებაში / Secondary Vocational Qualification in Digital Art

აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით, განეკუთვნება დეტალურ სფეროს - *აუდიო-ვიზუალური მეთოდები და მედია პროდუქცია/წარმოება, კოდი 0211, აღმწერი - „შეისწავლის წიგნების ან გაზეთების, რადიო ან სატელევიზიო პროდუქციის, ფილმის ან ვიდეოს, მუსიკალური ჩანაწერების შექმნა-წარმოებასა და გრაფიკულ რეპროდუქციას“.*

მიზანი: პროგრამის მიზანია ციფრული ხელოვნების სფეროსთვის უზრუნველყოს გრაფიკული დიზაინის შესრულების მიმართულებით კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება.

დაშვების წინაპირობა:

- საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ციფრულ ხელოვნებაში - სრული ზოგადი განათლება,
- საბაზო ზოგადი განათლება - იმ შემთხვევაში თუ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები - ციფრულ ხელოვნებაში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირი, ვინც გაივლის „გრაფიკული დიზაინის შესრულების“ კონცენტრაციას, შესაძლოა დასაქმდეს გამომცემლობებში, პოლიგრაფიულ საწარმოებში, ციფრულ სტამბებში, ფართოფორმატიანი ბეჭდვის საწარმოებში, სარეკლამო კომპანიებში დამკაბადონებლის, გრაფიკოს-დამკაბადონებლის, ტექნიკური დიზაინერის თანამდებობაზე. ასევე შეეძლება მუშაობა დიზაინერ-დამკაბადონებლის ან/და გრაფიკული დიზაინერის თანამდებობაზე. ის შეიძლება დასაქმდეს ბეჭდვის წინა მოსამზადებელი პროცესების ტექნიკოსად ისეთ საწარმოებში, სადაც გამოიცემა წიგნები, პერიოდული პუბლიკაციები და ხორციელდება სხვა საგამომცემლო საქმიანობები.

სტრუქტურა და მოდულები

1. „გრაფიკული დიზაინის შესრულების“ პროგრამა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმით მოიცავს 5 ზოგად მოდულს ჯამური 15 კრედიტის მოცულობით, 4 საერთო პროფესიულ მოდულს ჯამური 19 კრედიტის მოცულობით, **კვალიფიკაცია ციფრული ხელოვნება** 3 საერთო პროფესიულ მოდულს ჯამური 12 კრედიტის მოცულობით და **კონცენტრაცია - გრაფიკული დიზაინის შესრულება** 9 მოდულს ჯამური 44 კრედიტის ოდენობით. ციფრულ ხელოვნებაში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პირმა უნდა დააგროვოს ჯამურად **90** კრედიტი.

მოდულის „ქართული ენა A2“ გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლების შერჩევაც, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების“ 28-ე მუხლის (გარდამავალი დებულებები) პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, განხორციელდება რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.

- პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 90 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 70 კვირა;

- პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 120 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 90 კვირა.

ზოგადი მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	მეწარმეობა 2	2
2.	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
3.	რაოდენობრივი წიგნიერება	2
4.	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3
5.	უცხოური ენა	5
ჯამი:		15
საერთო პროფესიული მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	გაცნობითი პრაქტიკა - ციფრული ხელოვნება	1
2.	რასტრული გამოსახულების შექმნა და დამუშავება 1	5
3.	რასტრული გამოსახულების შექმნა და დამუშავება 2	7
4.	ვექტორული გამოსახულების დამუშავება (Adobe Illustrator)	6
ჯამი:		19
კვალიფიკაცია - ციფრული ხელოვნება საერთო პროფესიული მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	მარკეტინგული კომუნიკაციების საფუძვლები	1
2.	დაზოგად-დანადგარებთან მუშაობა	4
3.	კომპოზიციის შექმნა	7
ჯამი:		12
კონცენტრაცია - გრაფიკული დიზაინის შესრულება - მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	დარგობრივი ინგლისური ენა კომპიუტერულ გრაფიკაში	2
2.	ვექტორული გამოსახულების შექმნა და დამუშავება - Corel DRAW	6
3.	ბეჭდური და ელექტრონული პუბლიკაციის მაკეტის შექმნა	9
4.	დამხმარე ვიზუალური მასალის მომზადება	5
5.	დოკუმენტის დასაბეჭდად მომზადება	2
6.	PDF დოკუმენტის დამუშავება (Adobe Acrobat DC Pro)	2
7.	ბეჭდვამდელი სამუშაოების შესრულება	6
8.	ინტერაქტიური PDF ფაილის და ელექტრონული წიგნების მომზადება	7
9.	პრაქტიკული პროექტი გრაფიკული დიზაინის შესრულებისათვის	5
ჯამი:		44
სულ:		90

2. „გრაფიკული დიზაინის შესრულების“ პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები მოიცავს 2 ზოგად მოდულს ჯამური 8 კრედიტის ოდენობით, 5 ინტეგრირებულ ზოგად მოდულს 60 კრედიტის ოდენობით, 4 საერთო პროფესიულ მოდულს ჯამურად 19 კრედიტის ოდენობით, ციფრული ხელოვნების კვალიფიკაციის 3 მოდულს ჯამურად 12 კრედიტის ოდენობით და 9 პროფესიულ მოდულს ჯამური 44 კრედიტის ოდენობით.

საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს 143 კრედიტი.

მოდულის „ქართული ენა A2“ გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებს შერჩევაც, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების“ 28-ე მუხლის (გარდამავალი დებულებები) პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, განხორციელდება რუსულ,

აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.

- პროგრამის მოცულობა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების სამუალო საფეხურის სწავლის შედეგები, ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 143 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების სამუალო საფეხურის სწავლის შედეგები, ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 115 კვირა;
- პროგრამის მოცულობა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების სამუალო საფეხურის სწავლის შედეგები, არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 173 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების სამუალო საფეხურის სწავლის შედეგები, არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 135 კვირა.

ზოგადი მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	უცხოური ენა	5
2.	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
	ჯამი:	8
ზოგადი ინტეგრირებული მოდულები		
1.	კომუნიკაცია ქართულ ენაზე	14
2.	მათემატიკური წიგნიერება	14
3.	მეცნიერება და ტექნოლოგიები	18
4.	მეწარმეობა	4
5.	მოქალაქეობა	10
	ჯამი:	60
საერთო პროფესიული მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	გაცნობითი პრაქტიკა - ციფრული ხელოვნება	1
2.	რასტრული გამოსახულების შექმნა და დამუშავება 1	5
3.	რასტრული გამოსახულების შექმნა და დამუშავება 2	7
4.	ვექტორული გამოსახულების დამუშავება (Adobe Illustrator)	6
	ჯამი:	19
კვალიფიკაცია - ციფრული ხელოვნება საერთო პროფესიული მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	მარკეტინგული კომუნიკაციების საფუძვლები	1
2.	დაზგა-დანადგარებთან მუშაობა	4
3.	კომპოზიციის შექმნა	7
	ჯამი:	12
კონცენტრაცია - გრაფიკული დიზაინის შესრულება - მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	დარგობრივი ინგლისური ენა კომპიუტერულ გრაფიკაში	2
2.	ვექტორული გამოსახულების შექმნა და დამუშავება - Corel DRAW	6
3.	ბეჭდური და ელექტრონული პუბლიკაციის მაკეტის შექმნა	9
4.	დამხმარე ვიზუალური მასალის მომზადება	5
5.	დოკუმენტის დასაბეჭდად მომზადება	2
6.	PDF დოკუმენტის დამუშავება (Adobe Acrobat DC Pro)	2
7.	ბეჭდვამდელი სამუშაოების შესრულება	6
8.	ინტერაქტიური PDF ფაილის და ელექტრონული წიგნების მომზადება	7
9.	პრაქტიკული პროექტი გრაფიკული დიზაინის შესრულებისათვის	5
10.	ჯამი:	44
	სულ:	143

მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები:

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. შექმნას/რედაქტირება გაუკეთოს მარტივ გამოსახულებას
2. იმუშაოს ტექსტებთან
3. შექმნას/დაამუშაოს ვექტორული ობიექტები
4. კორექცია გაუკეთოს რასტრული გამოსახულების (სურათის) ფერსა და ტონალობას
5. გააკეთოს რასტრული გამოსახულების (სურათის) რეტუში
6. დაამუშაოს გამოსახულება ფილტრების და ნიღბების გამოყენებით
7. შექმნას GIF ანიმაცია
8. შექმნას/რედაქტირება და ტრანსფორმაცია გაუკეთოს ვექტორულ ობიექტებს
9. მოამზადოს დოკუმენტი ბეჭდვისა და ლაზერული ჭრისთვის
10. შექმნას/დაამუშაოს/შეინახოს მაკეტი
11. იმუშაოს წიგნის (book) ფაილთან, ასევე შექმნას გრაფიკული ჩარჩო და ფორმები
12. შექმნას/განალაგოს მაკეტში ობიექტების სტრუქტურა, მოახდინოს დოკუმენტის ექსპორტირება ბეჭდვა შესაბამის ფორმატში და შექმნას/დაარედაქტიროს PDF დოკუმენტი
13. მიიღოს დასამზადებელი ნაბეჭდი პროდუქციის ელექტრონული მაკეტი და დაამზადოს საბეჭდი ფორმა
14. დაამატოს ტექსტზე ბმულები, ინტერაქტიური სანიშნეები, ჰიპერკავშირები და სანავიგაციო ღილაკები
15. იმუშაოს ლაზერულ მჭრელებსა და სამგანზომილებიან პრინტერებთან.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: ვებტექნოლოგიები

(პროგრამა ხორციელდება მიღვევად რეჟიმში)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენებზე, რომლის საფუძველზე შექმნილია პროგრამა: ვებტექნოლოგიები - Web Technology
(პროგრამა ასევე შემუშავებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2019 წლის 19 აგვისტოს N170/ნ ბრძანების საფუძველზე)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზე შექმნილია პროგრამა: 06114-ს

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ვებტექნოლოგიებში / Secondary Vocational Qualification in Web Technology

აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - „მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება“, კოდი 0612, აღმწერი - „შეისწავლის პროგრამული უზრუნველყოფის აპლიკაციების დიზაინს, ფუნქციონირებასა და ინტეგრაციას. მოიცავს კომპიუტერულ მედია აპლიკაციებსაც”

მიზანი: პროგრამის მიზანია, ვებტექნოლოგიების სფეროსთვის მოამზადოს სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით შექმნან ვებგვერდისთვის ვებინტერფეისის როგორც დიზაინი, ასევე - დეველოპინგი (front_ის მხარე).

დაშვების წინაპირობა:

- პროგრამის დანართი 1-ით გათვალისწინებული სასწავლო გეგმით სწავლებაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება
- პროგრამის დანართი 21-ით გათვალისწინებული სასწავლო გეგმით სწავლებაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დაშვების წინაპირობაა საბაზო ზოგადი განათლება

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები

ვებტექნოლოგიებში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ვებდეველოპერად, ვებგვერდის მხარდამჭერ სპეციალისტად ან ვებდიზაინერად.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 62, 62.0, 62.01.
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO) კოდი: 3514

სტრუქტურა და მოდულები

1) „ვებტექნოლოგიების“ პროგრამა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმით მოიცავს 6 ზოგად სავალდებულო მოდულს ჯამური 18 კრედიტის ოდენობით და 9 პროფესიულ მოდულს ჯამური 46 კრედიტის ოდენობით. ვებტექნოლოგიებში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს 64 კრედიტი.

მოდულების „ქართული ენა A2“ და „ქართული ენა B1“ გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლების შერჩევაც, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების“ 28-ემუხლის (გარდამავალი დებულებები) პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, განხორციელდება რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

- პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 64 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 48 კვირა;
- პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 94 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 68 კვირა.

ზოგადი მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
2.	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3
3.	რაოდენობრივი წიგნიერება	2
4.	სამოქალაქო განათლება	3
5.	მეწარმეობა 2	2
6.	უცხოური ენა	5
	ჯამი:	18
პროფესიული მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	პრაქტიკული პროექტი - ვებტექნოლოგიები	4
2.	ვებგვერდის მარკირება და სტილებით გაფორმება	8
3.	გრაფიკული გამოსახულების შექმნა-დამუშავება	7
4.	დარგობრივი ინგლისური ენა ვებტექნოლოგიებში	5
5.	ვებგვერდის ინტერაქტივისა და ეფექტების შემუშავება - JavaScript	6
6.	ვებგვერდის მართვის სისტემების (CMS) გამოყენება	5
7.	ვებგვერდის მარკირება Bootstrap-ის სპეციალიზებული ბიბლიოთეკების საშუალებით	3
8.	ვებგვერდის ინტერაქტივისა და ეფექტების შემუშავება Angular-ის საშუალებით	3
9.	ვექტორული გამოსახულების დამუშავება (Adobe Illustrator)	5
	ჯამი:	46
	სულ:	64

2) **„ვებტექნოლოგიების“ პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია** ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები მოიცავს 2 ზოგად მოდულს ჯამური 8 კრედიტის ოდენობით, 5 ინტეგრირებულ ზოგად მოდულს 60 კრედიტის ოდენობით და 9 პროფესიულ მოდულს ჯამური 46 კრედიტის ოდენობით. ვებტექნოლოგიებში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს 114 კრედიტი.

მოდულის „ქართული ენა A2“ და „ქართული ენა B1“ გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისათვის, რომლების შერჩევაც, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების“ 28-ე მუხლის (გარდამავალი დებულებები) პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, განხორციელდება რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

- პროგრამის მოცულობა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 114 კრედიტი
- პროგრამის ხანგრძლივობა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 109 კვირა
- პროგრამის მოცულობა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 144 კრედიტი
- პროგრამის ხანგრძლივობა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 129 კვირა

ზოგადი მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	უცხოური ენა	5
2.	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
	ჯამი:	8
ზოგადი ინტეგრირებული მოდულები		
1.	კომუნიკაცია ქართულ ენაზე	14
2.	მათემატიკური წიგნიერება	14
3.	მეცნიერება და ტექნოლოგიები	18
4.	მეწარმეობა	4
5.	მოქალაქეობა	10
	ჯამი:	60
პროფესიული მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	პრაქტიკული პროექტი - ვებტექნოლოგიები	4
2.	ვებგვერდის მარკირება და სტილებით გაფორმება	8
3.	გრაფიკული გამოსახულების შექმნა-დამუშავება	7
4.	დარგობრივი ინგლისური ენა ვებტექნოლოგიებში	5
5.	ვებგვერდის ინტერაქტივისა და ეფექტების შემუშავება - JavaScript	6
6.	ვებგვერდის მართვის სისტემების (CMS) გამოყენება	5
7.	ვებგვერდის მარკირება Bootstrap-ის სპეციალიზებული ბიბლიოთეკების საშუალებით	3
8.	ვებგვერდის ინტერაქტივისა და ეფექტების შემუშავება Angular-ის საშუალებით	3
9.	ვექტორული გამოსახულების დამუშავება (Adobe Illustrator)	5
	ჯამი:	46
	სულ:	114

მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. შექმნას ვებგვერდის მაკეტი და მოარგოს სხვადასხვა მოწყობილობას;
2. გააფორმოს ვებგვერდის ფონი, შრიფტი და ელემენტები სტილების საშუალებით;
3. გადაწყვიტოს მარტივი ამოცანა JavaScript ენის ძირითადი ელემენტებისა და კონსტრუქციების გამოყენებით;
4. მოახდინოს JavaScript-ის ბიბლიოთეკების ინტეგრაცია ვებგვერდთან;
5. დააინსტალიროს გვერდის მართვის სისტემები (CMS) და ააწყოს ვებგვერდის დიზაინი;
6. შეიმუშავოს გვერდის ინტერაქტივი და ეფექტები;
7. მოახდინოს გვერდის მარკირება Bootstrap-ის სპეციალიზებული ბიბლიოთეკების საშუალებით;
8. შეიმუშავოს გვერდის ინტერაქტივი და ეფექტები Angular-ის საშუალებით;
9. მოამზადოს ვებინტერფეისის გრაფიკული დიზაინი;
10. დაამუშავოს ვექტორული გამოსახულება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: ხის მხატვრული დამუშავება

(პროგრამა ხორციელდება მიღევად რეჟიმში)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე, რომლის მიხედვით შექმნილია პროგრამა - ხის, ქვისა და ლითონის მხატვრული დამუშავება - Wood, Stone and Metal Artistic Processing

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის მიხედვით შექმნილია პროგრამა - 02123-3

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე: საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ხის მხატვრულ დამუშავებაში / Basic Vocational Qualification in Wood Artistic Processing

მისანიჭებელი კვალიფიკაციები განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - გამოყენებითი ხელოვნება (ხელნაკეთობა), კოდი 0214, აღმწერი - “*შეისწავლის საიუველირო ხელოვნების, კერამიკის, ქსოვის, ხის დამუშავების და ა.შ ტექნიკასა და უნარებს*”;

მიზანი: ხის მხატვრული დამუშავების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია უზრუნველყოს მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტის მომზადება, რომელსაც შეუძლია ხის მხატვრული დამუშავებისთვის საჭირო დანადგარების, ხელსაწყოებისა და მასალის შერჩევა, ესკიზისა და ნახაზის შესრულება, კომპიუტერული გრაფიკული პროგრამების გამოყენებით ხის ავეჯის კონსტრუირება, ესკიზის მიხედვით ხის მხატვრული კვეთა, ხის ავეჯისა და დეკორატიული ნივთების დამზადება უსაფრთხოების წესების დაცვით, ხის დაზიანებული ავეჯის შეკეთება.

დაშვების წინაპირობა - საბაზო განათლება

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები: ხის მხატვრული დამუშავებაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირი შესაძლოა დასაქმდეს ავეჯის კონსტრუქტორად, ეკლესიების, სკოლების, რესტორნების ავეჯის მწარმოებლად, სპეციალური ავეჯის (დახლების, ვიტრინების, თაროების და მისთ) მწარმოებლად, საოფისე ავეჯის მწარმოებლად, ხის საყოფაცხოვრებო ნივთებისა და სამზარეულოს საკუთნოების მწარმოებლად, ხის სტატუეტების და ორნამენტების, ხის ინკრუსტაციების, ხის ფერადი მოზაიკის მწარმოებლად, ხის ყუთების, საიუველირო ნაკეთობების, სასადილო საკუთნოების და მსგავსი ნაკეთობების მწარმოებლად. პირს შეუძლია დასაქმდეს: ავეჯის დამამზადებელ საწარმოში, ხის დამამუშავებელ საწარმოში, ხის წნული ნივთების დამამზადებელ სახელოსნოში, შექმნას კერძო წარმოება და აწარმოოს საკუთარი ბიზნესი.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდები: 16.29; 16.29.0; 31.0; 31.01; 31.01.0.
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდები: 7522; 7523.

სტრუქტურა და მოდულები:

3. შეიმუშავოს ბეჭდური და ციფრული დიზაინები პროგრამაში;
4. გააფორმოს დოკუმენტები ვიზუალური მასალით და მოამზადოს ბეჭდვისთვის;
5. შექმნას ვიზუალური ბრენდინგი და იდენტობა;
6. შეიმუშაოს (UI/UX) დიზაინი web და mobile აპლიკაციებისთვის;
7. შეიმუშაოს 2D ანიმაციური ნამუშევრები პროგრამაში;
8. გამოიყენოს თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიები დიზაინში (AI, AR, VR);
9. იზრუნოს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა

1. „გრაფიკული დიზაინის“ პროგრამა (მოდულური მიდგომით) ითვალისწინებს 14 პროფესიულ მოდულს ჯამური 81 კრედიტის მოცულობით და 2 ზოგად მოდულს ჯამური 7 კრედიტის მოცულობით.

„გრაფიკული დიზაინის“ პროგრამის მოდულური მიდგომით განხორციელებისას გრაფიკულ დიზაინში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭიროა ჯამურად 88 კრედიტის დაგროვება.

მოდულების „ქართული ენა A2“ და „ქართული ენა B1“ გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომელთა შერჩევაც, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების“ 28-ემუხლის (გარდამავალი დებულებები) პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, განხორციელდება რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

- პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 88 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 68 კვირა;
- პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 118 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 88 კვირა.

პროფესიული მოდულები	კრედიტი	სამუშაო გარემოში სწავლისთვის	დისტანციური სწავლების შესაძლებლობები
ზოგადი მოდულები			
უცხოური ენა - ინგლისური	3		დისტანციური
მეწარმეობა	4		
სულ:	7		
პროფესიული მოდულები			
დიზაინის პრინციპების გამოყენება	4	✓	დისტანციური
რასტრული გრაფიკა 1 (Adobe Photoshop)	5	✓	დისტანციური
რასტრული გრაფიკა 2 (Adobe Photoshop)	6	✓	დისტანციური
ვექტორული გრაფიკა Adobe Illustrator	7	✓	დისტანციური
ვექტორული გრაფიკა CorelDRAW	5	✓	დისტანციური
ციფრული და ბეჭდური პუბლიკაციის შექმნა Adobe InDesign	6	✓	დისტანციური
დოკუმენტის ვიზუალური მასალით გაფორმება და ბეჭდვისთვის მომზადება	6	✓	დისტანციური
ვიზუალური ბრენდინგისა და იდენტობის შექმნა	7	✓	დისტანციური
UI/UX პრინციპები და შესავალი	7	✓	დისტანციური
2D ანიმაციის პრინციპები	9	✓	დისტანციური
თანამედროვე (AI, AR, VR) ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება გრაფიკულ დიზაინში	3	✓	დისტანციური
დარგობრივი ინგლისური ენა გრაფიკული დიზაინერისთვის	4	✓	დისტანციური
პრაქტიკული პროექტი/პორტფოლიო	8	✓	დისტანციური
გრაფიკული დიზაინის გამოყენება თამაშების შექმნასა და სამგანზომილებიან გრაფიკაში	4	✓	დისტანციური
სულ:	81		
სულ ჯამი:	88		

1. „გრაფიკული დიზაინის“ პროგრამა (იმ სასწავლო გეგმით, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების

საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები) ითვალისწინებს 14 პროფესიულ მოდულს ჯამური 81 კრედიტის მოცულობით და 1 ზოგად მოდულს, 3 კრედიტის მოცულობით და 7 ზოგად ინტეგრირებულ მოდულს, ჯამური 34 კრედიტის მოცულობით.

„გრაფიკული დიზაინის“ პროგრამის იმ სასწავლო გეგმით განხორციელებისას, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები გრაფიკულ დიზაინში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭიროა ჯამურად 118 კრედიტის დაგროვება.

მოდულების „ქართული ენა A2“ და „ქართული ენა B1“ გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომელთა შერჩევაც, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №42/ზ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების“ 28-ემუხლის (გარდამავალი დებულებები) პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, განხორციელდება რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

- პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 118 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 80 კვირა;
- პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 148 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 100 კვირა.

პროფესიული მოდულები	კრედიტი	სამუშაო გარემოში სწავლისთვის	დისტანციური სწავლების შესაძლებლობები
ზოგადი მოდულები			
უცხოური ენა - ინგლისური	3		დისტანციური
სულ:	3		
ზოგადი ინტეგრირებული მოდულები			
მეწარმეობა	4		
კომუნიკაცია ქართულ ენაზე	8		
მათემატიკა	7		
მოქალაქეობა	6		
მეცნიერება და ტექნოლოგიები	6		
ესთეტიკა	1		
სპორტი	2		
სულ:	34		
პროფესიული მოდულები			
დიზაინის პრინციპების გამოყენება	4	✓	დისტანციური
რასტრული გრაფიკა 1 (Adobe Photoshop)	5	✓	დისტანციური
რასტრული გრაფიკა 2 (Adobe Photoshop)	6	✓	დისტანციური
ვექტორული გრაფიკა Adobe Illustrator	7	✓	დისტანციური
ვექტორული გრაფიკა CorelDRAW	5	✓	დისტანციური
ციფრული და ბეჭდური პუბლიკაციის შექმნა Adobe InDesign	6	✓	დისტანციური
დოკუმენტის ვიზუალური მასალით გაფორმება და ბეჭდვისთვის მომზადება	6	✓	დისტანციური
ვიზუალური ბრენდინგისა და იდენტობის შექმნა	7	✓	დისტანციური
UI/UX პრინციპები და შესავალი	7	✓	დისტანციური
2D ანიმაციის პრინციპები	9	✓	დისტანციური
თანამედროვე (AI, AR, VR) ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება გრაფიკულ დიზაინში	3	✓	დისტანციური
დარგობრივი ინგლისური ენა გრაფიკული დიზაინერისთვის	4	✓	დისტანციური

პრაქტიკული პროექტი/პორტფოლიო	8	✓	დისტანციური
გრაფიკული დიზაინის გამოყენება თამაშების შექმნასა და სამგანზომილებიან გრაფიკაში	4	✓	დისტანციური
სულ:	81		
სულ ჯამი:	118		

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

Front-end დეველოპმენტი

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის სახელწოდება (ქართულ და ინგლისურ ენებზე), რომლის საფუძველზე შექმნილია პროგრამა - Front-end დეველოპმენტი; Front-end Development

(პროგრამა ასევე შემუშავებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს 2019 წლის 19 აგვისტოს N170/ნ ბრძანების საფუძველზე)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზე შექმნილია პროგრამა: 06.1.1

მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულ და ინგლისურ ენებზე) - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია Front-end დეველოპმენტში; Secondary Vocational Qualification in Front-end Development.

მიზანი - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, შემუშავდეს და დაინერგოს ისეთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრის მომზადებას Front-end დეველოპმენტში.

კვალიფიკაციის დონე - ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო (NQF) - მეოთხე დონე კლასიფიკაციის აღწერა

ISCED კოდი და აღწერა: 0612 მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება - შეისწავლის პროგრამული უზრუნველყოფის აპლიკაციების დიზაინს, ფუნქციონირებასა და ინტეგრაციას. მოიცავს კომპიუტერულ მედია აპლიკაციებსაც.

ISCO კოდი: 3514 ინტერნეტ-ტექნიკოსები

ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 62.01.0 კომპიუტერული დაპროგრამების საქმიანობები

დასაქმების შესაძლებლობები - Front-end დეველოპერი შესაძლოა დასაქმდეს კერძო ან საჯარო დაწესებულებებში, ასევე თვითდასაქმებით Front-end დეველოპერის პოზიციაზე.

დაშვების წინაპირობა

სრული ზოგადი განათლება;

საბაზო ზოგადი განათლება - იმ შემთხვევაში თუ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. შექმნას ვებ გვერდის მომხმარებლის ინტერფეისი;
2. შექმნას ინტერაქტიული ვებ გვერდი;
3. განახორციელოს ვებ გვერდის ოპტიმიზაცია;
4. განახორციელოს ვებ პროექტის ვერსიების კონტროლი;
5. უზრუნველყოს საკუთარი პროფესიული განვითარება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა

1. Front-end დეველოპმენტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (მოდულური მიდგომით) ითვალისწინებს 10 პროფესიულ მოდულს ჯამური 51 კრედიტის მოცულობით და 3 ზოგად მოდულს ჯამური 9 კრედიტის მოცულობით. Front-end დეველოპმენტში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭიროა ჯამურად 60 კრედიტის დაგროვება.

მოდულების „ქართული ენა A2“ და „ქართული ენა B1“ გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომელთა შერჩევაც, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების“ 28-ემუხლის (გარდამავალი დებულებები) პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, განხორციელდება რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

- პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 60 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 44 კვირა;
- პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 90 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 64 კვირა.

სასწავლო გარემოში სწავლისთვის	კრედიტი	სამუშაო გარემოში სწავლისთვის	დისტანციური სწავლების შესაძლებლობები
ზოგადი მოდულები			
უცხოური ენა	3		დისტანციური
მეწარმეობა	4		
პიროვნული უნარები და ინტერპერსონალური კომუნიკაციები	2		
სულ:	9		
პროფესიული მოდულები			
ვებ გვერდის მარკირება და სტილებით გაფორმება	7	✓	დისტანციური
ვებ გვერდის სტილიზაცია Sass/scss პრეპროცესორის და Tailwind ფრეიმვორკის გამოყენებით	4	✓	დისტანციური
ვებგვერდის ინტერაქტიულობისა და ეფექტების შექმნა JavaScript-ის საშუალებით	9	✓	დისტანციური
დინამიური ვებგვერდის შექმნა typescript-ის საშუალებით	6	✓	დისტანციური
ვებგვერდის ინტერაქტიულობისა და ეფექტების შემუშავება React-ის საშუალებით	8	✓	დისტანციური
ვებ გვერდის ოპტიმიზაცია	3	✓	დისტანციური
ვერსიების კონტროლი Git ტექნოლოგიის გამოყენებით	3	✓	დისტანციური
დარგობრივი ინგლისური ენა Front-end დეველოპმენტისთვის	4		დისტანციური
პრაქტიკული პროექტი	4	✓	დისტანციური
ხელოვნური ინტელექტის გამოყენება	3	✓	დისტანციური
სულ:	51		
სულ ჯამი:	60		

2. „Front-end დეველოპმენტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (იმ სასწავლო გეგმით, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები) ითვალისწინებს 10 პროფესიულ მოდულს ჯამური 51 კრედიტის მოცულობით და 1 ზოგად მოდულს, 3 კრედიტის მოცულობით და 7 ზოგად ინტეგრირებულ მოდულს, 34 კრედიტის მოცულობით.

„Front-end დეველოპმენტის“ პროგრამის იმ სასწავლო გეგმით განხორციელებისას, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები Front-end დეველოპმენტში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭიროა ჯამურად 88 კრედიტის დაგროვება.

მოდულების „ქართული ენა A2“ და „ქართული ენა B1“ გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომელთა შერჩევაც, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების“ 28-ე მუხლის (გარდამავალი დებულებები) პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, განხორციელდება რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

- პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 88 კრედიტი;

- პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 70 კვირა;
- პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 118 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 90 კვირა.

სასწავლო გარემოში სწავლისთვის	კრედიტი	სამუშაო გარემოში სწავლისთვის	დისტანციური სწავლების შესაძლებლობები
ზოგადი მოდული			
უცხოური ენა - ინგლისური	3		დისტანციური
სულ:	3		
ზოგადი ინტეგრირებული მოდულები			
მეწარმეობა	4		
კომუნიკაცია ქართულ ენაზე	8		
მათემატიკა	7		
მოქალაქეობა	6		
მეცნიერება და ტექნოლოგიები	6		
ესთეტიკა	1		
სპორტი	2		
სულ:	34		
პროფესიული მოდულები			
ვებ გვერდის მარკირება და სტილებით გაფორმება	7	✓	დისტანციური
ვებ გვერდის სტილიზაცია Sass/scss პრე პროცესორის და Tailwind ფრეიმვორკის გამოყენებით	4	✓	დისტანციური
ვებგვერდის ინტერაქტიულობისა და ეფექტების შექმნა JavaScript-ის საშუალებით	9	✓	დისტანციური
დინამიური ვებგვერდის შექმნა typescript-ის საშუალებით	6	✓	დისტანციური
ვებგვერდის ინტერაქტიულობისა და ეფექტების შემუშავება React-ის საშუალებით	8	✓	დისტანციური
ვებ გვერდის ოპტიმიზაცია	3	✓	დისტანციური
ვერსიების კონტროლი Git ტექნოლოგიის გამოყენებით	3	✓	დისტანციური
დარგობრივი ინგლისური ენა Front-end დეველოპმენტისთვის	4		დისტანციური
პრაქტიკული პროექტი	4	✓	დისტანციური
ხელოვნური ინტელექტის გამოყენება	3	✓	დისტანციური
სულ:	51		
სულ ჯამი:	88		

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილ მოდიფიცირებული

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

„ ე ლ ე ქ ტ რ ო ბ ა “

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის სახელწოდება (ქართულ და ინგლისურ ენებზე), რომლის საფუძველზე შემუშავებულია პროგრამა - ელექტრობა/Electricity

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზე შემუშავებულია პროგრამა - 07.24.1

მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულ და ინგლისურ ენებზე) - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტრობაში/Basic Vocational Qualification in Electricity

მიზანი - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება.

კვალიფიკაციის დონე

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო (NQF) - დონე 3

კლასიფიკაციის აღწერა

ISCED კოდი და აღწერა: 0713 ელექტროტექნიკა და ენერჯია - *შეისწავლის სამრეწველო და კომერციულ საწარმოებში, ასევე საყოფაცხოვრებო პირობებში ელექტრო გაყვანილობისა და ელექტრომოწყობილობების მონტაჟს, ექსპლუატაციას, შეკეთებასა და ხარვეზების დიაგნოსტიკას. მოიცავს მიწისქვეშა და მიწისზედა ელექტროგაყვანილობის სადისტრიბუციო ქსელების მონტაჟსა და ექსპლუატაციას. ენერჯია შეისწავლის ენერჯიის გენერირებას*

ISCO კოდი: 7411: ელექტრიკოსები; 7412 ინჟინერ-ელექტრომექანიკოსები; 7413 მონტიორი

ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 35.12.0 ელექტროენერჯიის გადაცემა. 35.13.0. ელექტროენერჯიის განაწილება.

დასაქმების შესაძლებლობები

ელექტროკოსი შეიძლება დასაქმდეს ნებისმიერ ორგანიზაციაში ელექტროდანადგარების მომსახურედ: მემონტაჟე ელექტრიკოსად, შენობის ელექტრიკოსად, გამანაწილებელი ქსელის ელექტრიკოსად, ელექტრო-მექანიკოსად, ქუჩების განათების და ელექტრული სასიგნალო მოწყობილობების ელექტრიკოსად, ელექტროენერჯიის გამომშუშავებელი სადგურების ელექტრიკოსად.

დაშვების წინაპირობა

საბაზო ზოგადი განათლება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და მოდულები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს 3 ზოგად მოდულს ჯამური 7 კრედიტის მოცულობით და 9 პროფესიულ მოდულს ჯამური 59 კრედიტის მოცულობით.

ელექტრობაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭიროა ჯამურად 66 კრედიტის დაგროვება.

მოდულის „ქართული ენა A2“ გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომელთა შერჩევაც, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების“ 28-ე მუხლის (გარდამავალი დებულებები) პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, განხორციელდება რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

- პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 66 კრედიტი;

- პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 51 კვირა;
- პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 81 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 61 კვირა.

სასწავლო გარემოში სწავლისთვის	კრედიტი	სამუშაო გარემოში სწავლისთვის
ზოგადი მოდულები		
ინფორმაციული წიგნიერება	2	
უცხოური ენა - ინგლისური	3	
პიროვნული უნარები და ინტერპერსონალური კომუნიკაციები	2	
ჯამი:	7	
პროფესიული მოდულები		
შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა	8	
ზოგადი ელექტროტექნიკა	6	
ელექტრობის სისტემის ნახაზის შესრულება CAD-ის გამოყენებით	6	✓
ელექტრული მანქანები	6	
ელექტრული ტექნოლოგია	8	
ელექტრული წრედები	7	✓
მათემატიკა ელექტრიკოსებისთვის	6	✓
ელექტროსამონტაჟო სამუშაოები	10	✓
პირველადი გადაუდებელი დახმარება	2	✓
ჯამი:	59	
სულ კრედიტები:	66	

სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ✓ უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვა
- ✓ აღწეროს ელექტრული წრედების ელემენტები და საზომი ხელსაწყოები
- ✓ უზრუნველყოს ელექტრობის სისტემის ნახაზის შესრულება CAD-ის გამოყენებით
- ✓ აღწეროს ელექტრული მანქანები
- ✓ აღწეროს ელექტრული ტექნოლოგია
- ✓ უზრუნველყოს მუდმივი და ცვლადი დენების ანგარიში და წრედებში დანაკარგები
- ✓ გამოიყენოს მათემატიკა ელექტრობაში
- ✓ განახორციელოს ელექტროსამონტაჟო სამუშაოები
- ✓ უზრუნველყოს პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევა

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილ მოდიფიცირებული

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

„იატაკის და ფილების სამუშაოები“

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის სახელწოდება (ქართულ და ინგლისურ ენებზე), რომლის საფუძველზე შემუშავებულია პროგრამა - იატაკისა და ფილების სამუშაოები; Floor and Tile Works

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზე შემუშავებულია პროგრამა - 07.37.1

მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულ და ინგლისურ ენებზე) : საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია იატაკისა და ფილის სამუშაოებში; Basic Vocational Qualification in Floor and Tile Works

მიზანი: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება.

კვალიფიკაციის დონე - ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო (NQF): დონე 3

კლასიფიკაციის აღწერა

ISCED კოდი და აღწერა: 0732 მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია. შეისწავლის საჯარო (საზოგადოებრივი), კომერციული, ინდუსტრიული და სახცოვრებელი სტრუქტურების (ასევე მათი აღჭურვის) მონტაჟის, აგებისა და ტექნიკური მომსახურების მეცნიერებას, ტექნოლოგიებსა და ტექნიკას/მეთოდებს. სამოქალაქო ინჟინერია შეისწავლის დიდი ზომის შენობა - ნაგებობებისა და სტრუქტურების, მათ შორის სატრანსპორტო სისტემების, წყალმომარაგებისა და არინების და ა.შ. დაგეგმვას, პროექტირებას, ტესტირებასა და მშენებლობის ხელმძღვანელობას.

ISCO კოდი: 7122 იატაკისა და ფილების დამგებები

ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 43.33.0 იატაკის დაგება და კედლის მოსაპირკეთებელი სამუშაოები

დასაქმების შესაძლებლობები

იატაკისა და ფილების დამგები შეიძლება იყოს თვითდასაქმებული ან დასაქმდეს დიზაინერულ და სამშენებლო-სარემონტო კომპანიებში და მოაპირკეთოს სხვადასხვა სახის ზედაპირი, შეასრულოს სამუშაოები დახურულ და ღია სივრცეებსა და სიმაღლეზე.

დაშვების წინაპირობა

საბაზო ზოგადი განათლება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და მოდულები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს 12 პროფესიულ მოდულს ჯამური 74 კრედიტის მოცულობით, 3 ზოგად მოდულს ჯამური 7 კრედიტის მოცულობით.

იატაკისა და ფილის სამუშაოებში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭიროა ჯამურად 81 კრედიტის დაგროვება .

მოდულის „ქართული ენა A2“ გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომელთა შერჩევაც, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების“ 28-ე მუხლის (გარდამავალი დებულებები) პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად,

განხორციელდება რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

- პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 81 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 68 კვირა;
- პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 96 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 78 კვირა.

სასწავლო გარემოში სწავლისთვის	კრედიტი	სამუშაო გარემოში სწავლისთვის
ზოგადი მოდულები		
ინფორმაციული წიგნიერება	2	
უცხოური ენა - ინგლისური	3	
რაოდენობრივი წიგნიერება	2	
ჯამი:	7	
პროფესიული მოდულები		
სამშენებლო ნახაზების კითხვა	3	✓
მშენებლობის საფუძვლები	4	✓
ფილის დამუშავება	4	✓
კედლის და იატაკის ზედაპირების მომზადება ფილებით მოპირკეთებისათვის	6	✓
კედლის და იატაკის მოპირკეთება ფილებით	8	✓
ზედაპირის მოპირკეთება მოზაიკური ფილებით	6	✓
ბეტონის სამრეწველო და პოლიმერული იატაკის მოწყობა	8	✓
თბო და ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოების შესრულება	8	✓
მეტლახის და გრანიტის იატაკის დაგება	8	✓
ელასტიური და რბილი იატაკის საფარის დაგება	6	✓
სხვადასხვა სახის იატაკის დაგება	8	✓
შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა	5	✓
ჯამი:	74	
სულ კრედიტები:	81	

სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ✓ წაიკითხოს სამშენებლო ნახაზები
- ✓ დაამუშავოს ფილა
- ✓ მოამზადოს კედლის და იატაკის ზედაპირები ფილებით მოპირკეთებისთვის
- ✓ მოაპირკეთოს კედლის და იატაკის ზედაპირები ფილებით
- ✓ მოაპირკეთოს ზედაპირები მოზაიკური ფილებით
- ✓ მოაწყოს ბეტონის სამრეწველო და პოლიმერული იატაკი
- ✓ შეასრულოს თბო და ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები
- ✓ დააგოს მეტლახის და გრანიტის იატაკი
- ✓ დააგოს ელასტიური და რბილი იატაკის საფარი
- ✓ დააგოს სხვადასხვა სახის იატაკი (ხის ფიცრის, ხის პარკეტის, ლამინირებული პარკეტის)
- ✓ უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვა
- ✓ აღწეროს მშენებლობის ეტაპები და შენობის შიდა მოპირკეთების პროცესები

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილ მოდიფიცირებული

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

„ ინ ფ ო რ მ ა ც ი ი ს ტ ე ქ ნ ო ლ ო გ ი ი ს მ ხ ა რ დ ა ჭ ე რ ა “

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის სახელწოდება (ქართულ და ინგლისურ ენებზე), რომლის საფუძველზე შემუშავებულია პროგრამა - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა / Information Technology Support.

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზე შემუშავებულია პროგრამა - 06.3.1

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში / Basic Vocational Qualification in Information Technology Support;

მიზანი - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს კვალიფიციურ სპეციალისტი, რომელიც ფლობს აპარატურული უზრუნველყოფისა და ოპერაციული სისტემების დაყენების, განახლების, დაზიანებების აღმოფხვრის, ოპტიმიზაციის, დიაგნოსტიკისა და მომსახურებისათვის საჭირო სპეციალურ ტექნიკურ უნარ-ჩვევებს; აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა.

კვალიფიკაციის დონე - ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო (NQF) - მესამე დონე

კლასიფიკაციის აღწერა

ISCED კოდი და აღწერა - 0612 მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება - *შეისწავლის პროგრამული უზრუნველყოფის აპლიკაციების დიზაინს, ფუნქციონირებასა და ინტეგრაციას. მოიცავს კომპიუტერულ მედია აპლიკაციებსაც.*

ISCO კოდი - 3512 ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მომხმარებლის დახმარების ტექნიკოსები

ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი - 62.09.0 საინფორმაციო ტექნოლოგიების და კომპიუტერული მომსახურების სხვა საქმიანობები

დასაქმების შესაძლებლობები - ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერი პროფილის და ზომის ორგანიზაციაში.

დაშვების წინაპირობა

საბაზო ზოგადი განათლება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და მოდულები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს 4 ზოგად მოდულს, ჯამური 9 კრედიტის მოცულობით და 8 პროფესიულ მოდულს ჯამური 46 კრედიტის მოცულობით.

ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭიროა ჯამურად 55 კრედიტის დაგროვება.

მოდულის „ქართული ენა A2“ გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომელთა შერჩევაც, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების“ 28-ე მუხლის (გარდამავალი დებულებები) პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, განხორციელდება რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

- პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 55 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 41 კვირა;
- პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 70 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 51 კვირა.

სასწავლო გარემოში სწავლისთვის	კრედიტი	სამუშაო გარემოში სწავლისთვის
ზოგადი მოდულები		
უცხოური ენა - ინგლისური	3	
ინფორმაციული წიგნიერება	2	
რაოდენობრივი წიგნიერება	2	
პიროვნული უნარები და ინტერპერსონალური კომუნიკაციები	2	
ჯამი:	9	
პროფესიული მოდულები		
გაცნობითი პრაქტიკა - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა	1	
დარგობრივი ინგლისური ენა - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა	6	
კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების აპარატურული უზრუნველყოფა	7	
კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა	6	√
კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების უსაფრთხოება და პრობლემების აღმოფხვრა	6	
კომპიუტერული ქსელის ორგანიზებისა და გამოყენების პრინციპები	8	
მობილური, Linux და სერვერული ოპერაციული სისტემები	6	
პრაქტიკული პროექტი - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა	6	√
ჯამი:	46	
სულ კრედიტები:	55	

სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ✓ უზრუნველყოს კომპიუტერის აპარატურული მხარდაჭერა (Hardware);
- ✓ უზრუნველყოს კომპიუტერის პროგრამული მხარდაჭერა (Software);
- ✓ იმუშაოს მობილურ, Linux და Windows Server ოპერაციულ სისტემებთან;
- ✓ გამართოს პერიფერიული მოწყობილობები;
- ✓ დაამონტაჟოს და გამართოს მცირე ზომის კომპიუტერული ქსელი;
- ✓ დაამონტაჟოს და გამართოს ვიდეო სამეთვალყურეო სისტემები;
- ✓ უზრუნველყოს კომპიუტერულ სისტემებში გაუმართაობების იდენტიფიცირება / აღმოფხვრა;
- ✓ უზრუნველყოს კომპიუტერული სისტემების მხარდაჭერა სამუშაო ადგილზე და დისტანციურ რეჟიმში.

პროფესიული მომზადების პროგრამები

პროფესიული მომზადების პროგრამა:

„ქართული ფარდაგის და ხალიჩის ქსოვა“

პროგრამის სახელწოდება: „ქართული ფარდაგის და ხალიჩის ქსოვა“
<p>პროგრამის სახე:</p> <p><input checked="" type="checkbox"/> პროფესიული მომზადება</p> <p><input type="checkbox"/> პროფესიული გადამზადება</p>
<p>ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე:</p> <p><input type="checkbox"/> 2 <input checked="" type="checkbox"/> 3 <input type="checkbox"/> 4 <input type="checkbox"/> 5</p>
პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 13
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 20 სთ.
მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში: მინიმალური - 5, მაქსიმალური - 12
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: საბაზო განათლება
<p>პროგრამის მიზნები: პროგრამის მიზანია, კურსდამთავრებულთა ხელშეწყობის მიზნით, მოკლე ვადაში უზრუნველყოს ისეთი კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის, რომელსაც ეცოდინება ქართული მხატვრული ქსოვილები, ესკიზისა და ხელით საქსოვი დაზვის მომზადება, ფარდაგის და ხალიჩის ქსოვა.</p>
<p>სწავლის შედეგები :</p> <p>მსმენელს შეუძლია:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ქართული მხატვრული ქსოვილების დახასიათება 2. ფარდაგის ქსოვა 3. ხალიჩის ქსოვა
<p>პროგრამის შემუშავების საფუძველი: პროგრამა შემუშავებულია სსიპ კოლეჯის „მერმისი“ დირექტორის მიერ N04-164, 31.05.2019წ ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მხატვრული ქსოვა“ (ცვლილება 2021 წლის 28 აპრილი N04-140) ბრძანებით.</p>
<p>პროგრამის მოკლე აღწერა:</p> <p>პროფესიული მომზადების პროგრამაზე სწავლა შეუძლია ყველა დაინტერესებულ საბაზო განათლების მქონე პირს. პროგრამა განხორციელდება 13 კვირის განმავლობაში. მომზადების პროგრამის მოცულობა 255 საათია, აქედან შეფასებას დაეთმობა 5სთ. (მე-7 და მე-13 კვირას). კვირეული საათობრივი დატვირთვა შეადგენს 20სთ., ბოლო მე-13 კვირას 15სთ.</p> <p>პროგრამის მსვლელობისას მსმენელები შეისწავლიან ნართის კლასიფიკაციას, ფარდაგისა და ხალიჩის ქსოვის ტექნოლოგიურ პროცესს.</p> <p>პროფესიული მომზადების პროგრამის მსმენელების შეფასება განხორციელდება ტესტირებით და პრაქტიკული დავალებით შეფასების ინსტრუმენტები:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ტესტი 2. პრაქტიკული დავალება

შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს კვალიფიკაციის დამადასტურებელ სახელმწიფოს მიერ აღიარებულ პროფესიული განათლების დამადასტურებელ სერტიფიკატს დანართით, რომელშიც ფიქსირდება კურსდამთავრებულის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგები.

პროფესიული მომზადების პროგრამა:

„ტიხრული მინანქრის დამზადების ტექნოლოგია“

პროგრამის სახელწოდება: „ტიხრული მინანქრის დამზადების ტექნოლოგია“

პროგრამის სახე:

■ პროფესიული მომზადება

□ პროფესიული გადამზადება

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე:

□ 2 ■ 3 □ 4 □ 5

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 21

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 12 სთ. (მე-12, მე-13, მე-14 კვირაში - 13სთ.)

მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში: მინიმალური - 5, მაქსიმალური - 12.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: საბაზო განათლება

პროგრამის მიზნები: პროგრამის მიზანია მოკლე ვადაში მოამზადოს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევების მქონე კონკურენტუნარიანი პირი, რომელსაც შეეძლება ფირფიტის მომზადება, ფუძეზე ტიხრული კონტურებით ნახატის შექმნა, ტიხრული მინანქრის ტექნიკით ნაკეთობის დამზადება, გახეხვა/გაპრიალება ნამუშევრისათვის საბოლოო სახის მიცემა.

სწავლის შედეგები: მსმენელს შეუძლია

1. ტიხრული მინანქრის ტექნიკის აღწერა;
2. ტიხრული მინანქრის დადების ტექნოლოგიური ოპერაციების შესრულება;
3. ბრტყელ ზედაპირზე ტიხრული მინანქრის ნაკეთობის შექმნა.

პროგრამის შემუშავების საფუძველი:

1. სსიპ კოლეჯის „მერმისი“ დირექტორის მიერ №04-164, 31.05.2019წ. ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მომინანქრება“

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროფესიული მომზადების პროგრამაზე სწავლა შეუძლია საბაზო განათლების მქონე ყველა დაინტერესებულ პირს. პროფესიული მომზადების პროგრამის მოცულობა შეადგენს 259 საათს, აქედან შეფასებას დაეთმობა 8 საათი მე-2, მე-15 და 21-ე კვირას. პროგრამა განხორციელდება 21 კვირის განმავლობაში კოლეჯში მომინანქრების სასწავლო სახელოსნოში, AC ინტეგრირებულ გარემოში. კვირეული დატვირთვა შეადგენს 12 საათს გარდა მე-12, მე-13 და მე-14 კვირისა (კვირეული დატვირთვა - 13სთ.).

პროგრამის მსვლელობისას მსმენელები შეისწავლიან ტიხრული მინანქრის ტექნიკას, ტიხრული მინანქრის ტექნოლოგიური ოპერაციების შესრულებას და ბრტყელ ზედაპირზე ტიხრული მინანქრის ნაკეთობის შექმნას.

პროფესიული მომზადების პროგრამის მსმენელების შეფასება განხორციელდება თეორიული გამოკითხვით (ტესტირება), პრაქტიკული დავალება დაკვირვებით და პრაქტიკული დავალებით.

შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათლის პრინციპზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, კურსდამთავრებული მიიღებს კვალიფიკაციის დამადასტურებელ, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ პროფესიული განათლების დამადასტურებელ სერთიფიკატს დანართით, რომელშიც ფიქსირდება კურსდამთავრებულის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგები.

„სურსათის უვნებლობისა და ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლების ლაბორატორიული უზრუნველყოფა რძისა და პურ-პროდუქტების საწარმოებში“

პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, კურსდამთავრებულის მსმენელი მიიღებს კვალიფიკაციის დამადასტურებელ, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ პროფესიული განათლების დამადასტურებელ სერთიფიკატს დანართით, რომელშიც ფიქსირდება კურსდამთავრებულის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგები.

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში - 12 კვირა, (240 საათი)

კვირეული საათობრივი დატვირთვა - 20 საათი.

პროგრამის მიზნები: პროგრამის მიზანია მსმენელმა შეიძინოს თეორიული ცოდნა და პროფესიული უნარები, რომელიც მას რეალურად გამოადგება მომავალ საქმიანობაში. პროგრამის მიზანია მოკლე ვადაში მოამზადოს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი სპეციალისტები, რომლებსაც ეცოდინებათ წარმოების სხვადასხვა ეტაპზე სურსათის უვნებლობის მიმართ წაყენებული მოთხოვნები, საწარმოებში ჰიგიენისა (GHP) და წარმოების კარგი პრაქტიკა (GMP), საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემა (HACCP). მსმენელები შეძლებენ რძისა და პურ-პროდუქტების საწარმოების ლაბორატორიის დახასიათებას, მისი მნიშვნელობის გაცნობიერებას, რძისა და პურ-პროდუქტების საშუალო სინჯის აღებას, მათ ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლების განსაზღვრას.

პროგრამის მსვლელობისას მსმენელები შეისწავლიან სურსათის უვნებლობის ზოგად ასპექტებს და რეგულირების სისტემას, ლაბორატორიის დახასიათებას, შრომისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას, საშუალო ნიმუშის მომზადებას, სინჯის მომზადებას საანალიზოდ, ლაბორატორიული ჭურჭლის, რეაქტივების და აღჭურვილობის გამოყენებას, ლაბორატორიული კვლევებისა და ანალიზების ჩატარებას, წარმოების ჰიგიენის (GHP) და კარგი პრაქტიკის (GMP) მნიშვნელობას, წარმოების სხვადასხვა ეტაპზე სურსათის უვნებლობის მიმართ არსებულ სხვადასხვა საფრთხეებს, ლაბორატორიის აკრედიტაციის წესს, საერთაშორისო (ISO) სტანდარტების დანერგვის წესს.

პროფესიული მომზადების პროგრამის მსმენელების შეფასება განხორციელდება თეორიული გამოკითხვით - ტესტირებით, პრაქტიკული დავალება დაკვირვებით - პრაქტიკული დავალებების შესრულებით.

შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

სწავლის შედეგები: მსმენელს შეუძლია:

1. სურსათის უვნებლობის ზოგადი ასპექტებისა და რეგულირების სისტემის აღწერა;
2. რძის პროდუქტების წარმოების საბაზისო ლაბორატორიის დახასიათება;
3. რძისა და რძის პროდუქტების თვისებების განსაზღვრა ლაბორატორიული ანალიზის მეთოდებით;
4. ფქვილის, პურისა და პურ-პროდუქტების თვისებების განსაზღვრა ლაბორატორიული ანალიზის მეთოდებით;
5. რძისა და პურის საწარმოებში ჰიგიენისა და წარმოების კარგი პრაქტიკის (GHP) და (GMP) აღწერა; წარმოების სხვადასხვა ეტაპზე სურსათის უვნებლობის მიმართ, პოტენციური საფრთხეების აღწერა.

ტყავის აქსესუარების შექმნის ხელოვნება

1. ზოგადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ

<p>პროგრამის სახელწოდება:</p> <p>„ტყავის აქსესუარების შექმნის ხელოვნება“</p>
<p>პროგრამის სახე:</p> <p><input checked="" type="checkbox"/> პროფესიული მომზადება</p> <p><input type="checkbox"/> პროფესიული გადამზადება</p>
<p>ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე:</p> <p><input type="checkbox"/> 2 <input type="checkbox"/> 3 <input checked="" type="checkbox"/> 4 <input type="checkbox"/> 5</p>
<p>პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში:</p> <p>12</p>
<p>კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 20</p>
<p>მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში:</p> <p>მინიმალური -- 5, მაქსიმალური -- 12</p>
<p>პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:</p> <p>სრული ზოგადი განათლება</p>
<p>პროგრამის მიზნები: პროგრამის მიზანია მოკლე ვადაში მოამზადოს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი სპეციალისტი, რომელიც შეძლებს ტყავის აქსესუარების კონსტრუირებასა და დამზადებას და შეუძლია დასაქმდეს ტყავის აქსესუარების მწარმოებელ საშუალო და მცირე საწარმოებში ან იყოს თვითდასაქმებული - დააფუძნოს სახელოსნო და იმუშაოს კერძო შეკვეთებზე.</p>
<p>სწავლის შედეგები: მსმენელმა იცის და შეუძლია</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ტყავის აქსესუარების ასორტიმენტის დახასიათება საკლასიფიკაციო ნიშნის მიხედვით; 2. ტყავის აქსესუარების აკრების ტექნოლოგიური პროცესის თეორიული საფუძვლების ჩამოყალიბება; 3. ტყავის აქსესუარების დეტალების აგება, მასალაში ჩაწყობა და აჭრა; 4. ტყავის აქსესუარების დეტალების წინასწარი დამუშავება და დროებითი შეერთება; 5. ტყავის აქსესუარების დეტალების აკრება.
<p>პროგრამის შემუშავების საფუძველი:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. სსიპ კოლეჯის „მერმისი“ დირექტორის მიერ №04-71, 03.06.2025წ. ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ტყავის ნაკეთობათა წარმოება“.

პროგრამის მოკლე აღწერა: პროფესიული მომზადების პროგრამის მოცულობა შეადგენს 246სთ. მსმენელთა მომზადება განხორციელდება 12 კვირის განმავლობაში. კვირეული დატვირთვა პირველ თერთმეტ კვირაში 20-20სთ.-ია მსმენელის შეფასებაზე გათვალისწინებულია 7სთ. მე-12 კვირას კვირეული დატვირთვა შეადგენს 26 საათს.

პროგრამის მსვლელობისას მსმენელები შეისწავლიან ტყავის აქსესუარების ასორტიმენტის კლასიფიკაციას სახისა და სქესობრივ-ასაკობრივი, დანიშნულების, მასალის სახეების მიხედვით, ტყავის აქსესუარების დეტალებს, მათი კონსტრუირებისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღებს, მასალას და ინვენტარს, სამუშაო ადგილის ორგანიზაციას, აკრების ტექნოლოგიური ოპერაციების შესასრულებლად საჭირო ინვენტარს, ხელსაწყო-იარაღებს და მანქანა/დანადგარებს, სამუშაო ინვენტარის განლაგებას და სამუშაო ადგილის მოწყობას, ტყავის აქსესუარების დეტალების დროებითი და ძირითადი შეერთების სახეებს, ჩანთის ზედაპირის, სარჩულისა და შუასარჩულის დეტალების აგებას, კონსტრუქციის განდეტალებას, ტყავის აქსესუარების დეტალების მასალაში ჩაწყობის სისტემებს, დეტალების აჭრის მეთოდებს, აჭრილი დეტალების დაკომპლექტებას, აჭრილი დეტალების წინასწარი დამუშავების მეთოდებს, აქსესუარების დეტალების დროებითი და ძირითადი დაკავშირების ოპერაციებს, დეტალების აკრებას კვანძებად, ხილული კიდეების დამუშავებას, ნაწარმის ტექნოლოგიური შემოწმებას, მზა ნაწარმის გამოყვანას.

პროფესიული მომზადების პროგრამის მსმენელების შეფასება განხორციელდება ორჯერადად: პირველი - თეორიული - წერილობითი გამოკითხვა - მესამე კვირაში, ხანგრძლივობა 2სთ. და მეორე - ბოლო მეთორმეტე კვირაში, პრაქტიკული - პრაქტიკული დავალება დაკვირვებით, ხანგრძლივობა 5სთ.

შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგის მიღწევის შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს პროფესიული კვალიფიკაციის ნაწილის დამადასტურებელ, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ პროფესიული განათლების სერტიფიკატს დანართით, რომელშიც ფიქსირდება კურსდამთავრებულის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგები.

ა ნ ო ნ ს ი

2026 წელს სსიპ კოლეჯი „მერმისი“ გეგმავს 7 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებას

მათ შორის 5 პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას:

1. „კულინარია“, მეოთხე დონე;
2. „კონდიტერია“, მეოთხე დონე;
3. „ხის მხატვრული დამუშავება“, მეოთხე დონე;
4. „მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება“, მესამე დონე;
5. „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“, მესამე დონე;

და 2 ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას:

1. „თექის დამზადება“, მესამე დონე;
2. „მხატვრული ქსოვა“, მესამე დონე.